# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 11 იანვარი, 2012 წელი.

№6 (6883)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ახალი ხრიკი ივანიშვილის წინააღმდეგ 2



## აშშ კი არა წირავს ნაცთა მიერ განაწირსა 5

პოლიტემიგრანტები მრავლად არიან

„ქვეყნის სოციალური მდგომარეობა საგანგაშოა და ამ ვითარების გამოსწორება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე შეუძლებელია“ 3

გადატვირთვის პოლიტიკას სერიოზული პრობლემები შეექმნება და 2012 წელს შეიძლება, არც კი იარსებოს 6

## მს თუ კომფორტულობაა!! 4



როგორ ივსება საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი

## აშშ-საქართველო: სტრატეგიული პარტნიორობის მე-3 წლისთავი 8

რუსეთის გენშტაბმა ის „მტრები“ აღმოაჩინა, რომლებსაც რუსეთის ტერიტორიებზე აქვთ პრეტენზიები

## ფაქტობრივად ბავშვებს თამბაქოს წევას ასწავლიან 2



## საქართველოს სახელით სარჩელს 11 არაპროფესიონალები წერენ!




## აშშ-ში გამოვიდა სკანდალური წიგნი 8 ცოლ-ქმარ ობამას შესახებ

მახე

# ახალი ხრიკი ივანიშვილის წინააღმდეგ



**ბოლო ორი თვის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს გარეთაც და შიგნითაც, ყველას ძალიან კარგად გაგვაგებინა, რომ მილიარდერი ბიზნესმენი, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლას ვერ შეძლებს, თუკი მან საქართველოს მოქალაქეობა არ მიიღო. სხვა საკითხია, პრეზიდენტმა მას საქართველოს მოქალაქეობა რამდენად კანონიერად ჩამოართვა. მთავარი ის არის, რომ ხელისუფლებამ სწორედ მის მოქალაქეობის არქონაზე ააწყო თავისი საარჩევნო გეგმები.**

ძალიან მარტივი გათვლაა, - თუ არ ექნება მას მოქალაქეობა, პოლიტიკაშიც ვერ ჩაერევა და ვერ დააფინანსებს. ამას კი დაემატა მთელი რიგი ის აკრძალვები, რაც ხელისუფლებამ პარტიებს და პარტიებთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებულ პირებს დაუწესა. ამაზე ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი ითქვა და კიდევ გავიმეორებთ, რომ ეს აკრძალვები გათვლილია იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკის დაფინანსება ვერც ერთი გზით ვერ შეძლოს. აღსანიშნავია, რომ ამაზე თავად ხელისუფლება საუბრობს ღიად.

ამიტომაც გასაკვირი არ იქნება, თუ სააკაშვილი ივანიშვილს მოქალაქეობის მიცემაზე უარს ეტყვის. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ეს ძალიან გაუჭირდება და, როგორც ჩანს, ახლა მთელი ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში ის, ვისაც ფიქრი შეუძლია, სააკაშვილისთვის გამოსავლის ძიებაზეა გადართული.

საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ მოქალაქეობის მინიჭება და ჩამორთმევა პრეზიდენტის პრეროგატივაა და მან მოქალაქეობის მოთხოვნის განცხადება, მაქსიმუმ, ექვსი თვის ვადაში უნდა დააკმაყოფილოს. ამასთან, მოქალაქეობის მინიჭებისთვის არსებობს რამდენიმე აუცილებელი კრიტერიუმი, რომელსაც ივანიშვილი სრულად აკმაყოფილებს —განსაკუთრებით, ქვეყნის წინაშე დამსახურებას და ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტს მისთვის უარის სათქმელად მიზეზი არ ექნება.

ივანიშვილს, ჯერჯერობით, პრეზიდენტისთვის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით არ მიუმართავს, რადგან არ დასრულებულა მის მიერ სხვა ქვეყნების მოქალაქეობაზე უარის თქმის პროცედურა. შეგახსენებთ, რომ ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის სურვილის გაცხადებისთანავე მიმართა საფრანგეთისა და რუსეთის ხელისუფლებებს მოქალაქეობაზე უარის თქმის განცხადებით. რუსეთმა მისი თხოვნა უკვე დააკმაყოფილა და იგი რუსეთის მოქალაქე აღარ არის და ახლა საფრანგეთის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურის დასრულებაა საჭირო.

ივანიშვილს უკვე გაცხადებული აქვს, რომ იგი საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით მიმართავს და ამ შემთხვევაში მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის დამატებითი არგუმენტი იქნება ის, რომ მას არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ ექნება. ასეთ შემთხვევაში კი საქართველოს პრეზიდენტს საერთაშორისო კანონმდებლობა ავალდებულებს, რომ მას მოქალაქეობა მისცეს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ხელისუფლებას ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმისთვის ერთადერთი საშუალება ის რჩება, რომ ივანიშვილს ტერორისტობა და ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება დაუმტკიცოს.



მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ძალიან პატარა გამოსავალი მაინც იპოვა. ეს გამოსავალი კი მისთვის უარის თქმის კი არა, პროცედურის გაჭიანურების საშუალებას იძლევა. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად სპეციალური დასკვნის მომზადება დროში აღარ იქნება შეზღუდული.

ამასთან დაკავშირებით ცვლილება „უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში შევიდა.

მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა ითვალისწინებს იმას, რომ მოქალაქეობის მიღების მსურველი განცხადებას წერს პრეზიდენტის სახელზე, შემდეგ ამ განცხადებას სწავლობს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, რომელიც დასკვნას წარუდგენს პრეზიდენტს და პრეზიდენტის გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ეს დასკვნა ხდება.

აქამდე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ვალდებული იყო, რომ მთელი რიგი წესების დაცვით, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობის საკითხის გადაწყვეტიდან დასკვნა პრეზიდენტისთვის წარსადგენად, ერთ კვირაში მოემზადებინა.

ბრძანებულებაში ცვლილებების მიხედვით კი, სააგენტო ვალდებული აღარ იქნება, რომ დასკვნა კონკრეტულად ერთ კვირაში წარადგინოს. პრეზიდენტის ბრძანებულებაში აქამდე არსებული ერთკვირიანი ვადის სანაცვლოდ არანაირი ვადა აღარ არის განსაზღვრული, რაც საშუალებას იძლევა, რომ ამ კომისიამ ეს დასკვნა რამდენი ხანიც უნდა, იმდენი ხანი გაჭიმოს.

ეს ახალი წესი კი, ცხადია, პრეზიდენტს იმის საშუალებას მისცემს, რომ საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოებასთან თავი იმართლოს, რომ სათანადო დასკვნა არ არის მომზადებული და ამაზე მუშაობენ, ამასობაში წინასაარჩევნო პროცესიც დაიწყება და მერე რა მოხდება, კაცმა არ იცის.

**თეონა ხარაბაძე**
Presage.tv

პრეზენტაცია

## „ქართულ ოცნებაში“ კიდევ ერთი თემატური ჯგუფი შეიქმნა

**საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ შექმნილია ცხრა თემატური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ.**

**10 იანვარს გაიმართა ჯანდაცვისა და სოციალური ჯგუფის პრეზენტაცია, რომელსაც ბატონი ოთარ ხუფენია ხელმძღვანელობს. ჯგუფს აქვს ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის და სადაზღვევო ბაზრის რეგულირების ქვეჯგუფები.**

**ჯანდაცვის და სოციალური უსაფრთხოების ჯგუფის მიზანს მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, სადაზღვევო ბაზრის რეგულირების არსებული სისტემების რეორიენტაციისთვის საფუძვლების მომზადება წარმოადგენს.**

**ბატონმა ოთარ ხუფენიამ თავის გამოსვლაში გამოყო ის პრიორიტეტები, რის გამოც აუცილებელი გახდა ამ ჯგუფის ჩამოყალიბება.**

**ქვეყანაში არ არსებობს სოციალური დაცვის პოლიტიკა, ხელისუფლების ცალკეული „ნოვაციებში“უსისტემოა, ნათელი არ არის მისი მიზნები და მიზნის მიღწევის შეფასების კრიტერიუმები:**

**ხელისუფლების „წყალობად“ არის მიჩნეული კლასიკური სოციალური სადაზღვევო გასაცემლები (პენსია, დეკრეტული შვებულება, დროებითი შრომისუუნარობის, უმუშევრობის დახმარება და სხვ.) ხოლო ე. წ. „სიღარიბის ზღვრის“ მექანიზმი „კოლექტიური მათხოვრობის“ სისტემად გადაიქცა.**

**მთელი პასუხისმგებლობა დელეგირებულია კერძო სექტორზე, რის შედეგადაც დაუცველი დარჩა როგორც სამედიცინო პერსონალი, ისე პაციენტი.**

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო „სადაზღვევო“ ბროკერად არის ქცეული, იმის გამო, რომ არ არსებობს ბენეფიციართა და სადაზღვევო კომპანიების ურთიერთობის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები.**

**არარეგულირებული სადაზღვევო ბაზრის პირობებში შეიქმნა „ხლოვნური მონოპოლია“ და ერთი სუბიექტის ხელში აღმოჩნდა მედიკამენტი, ჰოსპიტალი, სადაზღვევო საქმიანობა.**

**მოსახლეობის სოციალური დაცვის თანამედროვე სისტემის ნაცვლად ჩამოყალიბებულია ხელისუფლების მიერ გაღატაკებული მოსახლეობის მოსყიდვის, მამა-მარჩენალის კომპლექსი და შესაბამისად, ძალაუფლების შენარჩუნების ფეოდალური მექანიზმები.**

**ბატონმა ოთარმა განაცხადა, რომ ისინი სისტემატურად შეხვდებიან თბილისსა და რეგიონებში მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო შედეგებს მასმედიის საშუალებით გააცნობენ დაინტერესებულ საზოგადოებას.**

**„ქართულმა ოცნებამ“ ყველა დაინტერესებული პირი მიიწვია თემატური ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.**

**ნინო კურტანიძე**

უარი სიგარეტს!

# ფაქტობრივად ბავშვებს თამბაქოს წევას ასწავლიან

**თამბაქო მავნებელია, იწვევს ნაადრევ სიკვდილს, კანის ნაადრევ დაბერებას და ა. შ. მაგრამ მსგავსი ფრაზები, რომლითაც თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები საზოგადოებას აფრთხილებენ, აშკარად უშედეგოა. მომხმარებელთა რაოდენობა არ კლებულობს, როგორც მოზარდებში, ისე მოზრდილებში. ოღონდ ესეც არის: მსგავსი გაფრთხილებები ერთადერთია, სხვა მხრივ კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამბაქოს პოპულარიზაცია აფრააშლილი მიმდინარეობს. ამაზე მეტყველებს, სატელევიზიო რეკლამები, ბუკლეტები, პრომო გოგონები, რომლებიც თამბაქოს უწევენ რეკლამას. იმ ფონზე, რომ 2003 წლის აპრილიდან აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის ტელე და რადიო რეკლამა და ისჯება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.**




ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით „თამბაქოს კონტროლის ალიანსმა“ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენციაზე ყურადღება გაამახვილეს მწარმოებელი კომპანიების მიერ საბავშვო გადაცემების სპონსორობის საშუალებით ბავშვებში თამბაქოს პოპულარიზაციაზე.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის თავმჯდომარემ გიორგი ბახტურიძემ აღმაშფოთებელი ვიდეო ფაქტები წარუდგინა ჟურნალისტებს. ბოლო თვეებში საკმაოდ გახშირებულია „თამბაქოს კონტროლისა“ და „რეკლამის შესახებ“ კანონების დარღვევათა ფაქტები. ამ ყველაფრის კულმინაცია კი ყოფილა საბავშვო სტუდია „ბასტი ბუბუს“ საახალწლო კონცერტი „ბურატინო“, რომელიც ფილარმონიაში საახალწლო დღეების განმავლობაში ანშლაგით მიმდინარეობდა. იქ სპექტაკლის მონაწილე კატა ბაზელიო ერთობ მელოდიური სიმღერით ასწავლის ბავშვებს როგორ მოიმარჯვონ სიგარეტი და როგორ გააბოლონ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანია „იმედის“ საბავშვო გადაცემა „თავდაყირაში“ გავიდა ზემოთ ხსენებული საახალწლო პროგრამის საკონცერტო ნომერი, რომელიც ბავშვებში სიგარეტის მოწევის რეკლამასა და პოპულიზაციას ემსახურებოდა. იქვე ვინმე (კატა ბაზილიოს როლის შემსრულებელმაძ ბავშვებს შეახსენა ჯანდაცვის სამინისტრო გვაფრთხილებს, მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვისო. ანუ, როგორც ალიანსის წარმომადგენლები ვარაუდობენ სტუდიის ხელმძღვანელობამ და ნომრის დამკვეთმა მშვენივრად იცოდნენ, რომ თამბაქოს წევას უკეთებდნენ რეკლამას და გაფრთხილებაც არ დავიწყნიათ. ალიანსს საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ ამ ყველაფრის უკან დგანან თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც ბავშვებს მისწვდნენ და პირდაპირ ახდენენ თამბაქოს წევის



პროპაგანდას მოზარდებში შერჩეული გადაცემების დახმარებით, რაც ასევე აკრძალულია 2009 წლიდან და 500-1500 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს.

როგორც ხედავთ, თამბაქოს ინდუსტრია კვლავ აგრძელებს უკანონო ქმედებებს ახალგაზრდების მისაზიდად. ზემო აღნიშნული ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ ზედამხედველობის სამსახურები და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ვერ ახორციელებს თავის მოვალეობას.

გიორგი ბახტურიძის განცხადებით, ალიანსი მოითხოვს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ აიკრძალოს თამბაქოს პროდუქციის ნებისმიერი სახის რეკლამა და პარლამენტმა რაც შეიძლება მალე შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები. ასევე ალიანსის წარმომადგენლები მოითხოვენ საახალწლო კონცერტიდან იმ ნომრის ამოღებასაც, რომლითაც ბავშვებს ფაქტობრივად სიგარეტის მოწევას ასწავლიან.

**ლია გრიგოლია**

**აქტუალური თემა**

# „ქვეყნის სოციალური მდგომარეობა საგანგაშოა და ამ ვითარების გამოსწორება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე შეუძლებელია“

*2012 წელს საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტულად დეკლარირებულ სამ ძირითად მიმართულებას შორის განათლებასა და სოფლის მეურნეობასთან ერთად ჯანდაცვა და სოციალური სფეროც შედის. „პირველი“ დაინტერესდა, რა ძირითადი სოციალური გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა 2012 წელს, როგორია მთავრობის სტრატეგია და რას უქადის არსებული და მიმდინარე სოციალური რეფორმები ქვეყნის მოსახლეობას. ამ და სხვა პრობლემურ საკითხებზე „პირველი“ ესაუბრა სოციალურ საკითხებში „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის“ ექსპერტ ელზა ჯგერენაიას.*



**— ქალბატონო ელზა, ზოგადად რომ შევაფასოთ, რამდენად თანმიმდევრულია საქართველოს მთავრობის სოციალური პოლიტიკა?**

— საქართველოში სოციალურმა პრობლემატიკამ მწვავე ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ძნელია, არსებულ, პოლიტიკური შეფერილობის საპენსიო სისტემას სისტემა უწოდო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ამბიციური გეგმის განხორციელება დაიწყო. თუკი რევოლუციამდე ქვეყნის ეკონომიკური კურსი სოციალური საბაზრო ეკონომიკისკენ იყო მიმართული, 2003 წლის შემდეგ მიმართულება შეიცვალა და იგი ლიბერტარიანული იდეოლოგიის მატარებელმა რეფორმებმა ჩაანაცვლა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების მიუხედავად, ახალმა ხელისუფლებამ სოციალური დაცვის სფეროში რეფორმების განხორციელება უფრო ნელა დაიწყო, ვიდრე მაგალითად, სხვა სფეროებში, როგორიცაა საგზაო პოლიცია, განათლება ან ლიცენზირება და ნებართვები, სადაც შეიძლება, ითქვას, რომ რეფორმები წარმატებულად განხორციელდა. არადა, ის, რომ საქართველოს მოსახლეობის 50-55% სიღარიბის ზღვარს დაბლა, 15% კი უკიდურესი სიღარიბის პირობებში ცხოვრობს, რეფორმების გატარების დაუყოვნებლივ საჭიროებაზე მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ბიზნესის წარმოებისთვის ლიბერალური გარემოს შექმნით შინ და გარეთ თავს იწონებს, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა არ უმჯობესდება და არც უმუშევრობის რაოდენობა იკლებს. არც ინვესტიციების ოდენობით შეგვიძლია, დავიტრაბახოთ.

**— 2011 წლის განმავლობაში მთავრობამ საქართველოს მოსახლეობას 30-30-ლარიანი ენერგო, ასევე სურსათის და აგრარული ვაუჩერები დაურიგა. თქვენი აზრით, რამდენად ქმედითი და სასარგებლოა მსგავსი სოციალური კამპანია და არის თუ არა ანალოგიური ღონისძიებები აპრობირებული სხვა განვითარებად ქვეყნებში?**

— როცა მთავრობა ქვეყანაში მსგავს ერთჯერად ღონისძიებებს ახორციელებს, ეს აშკარად კლასიკური ფორმის სოციალური პოპულიზმია. უფრო მეტიც, ამ ფაქტს შეიძლება, „სოციალური კორუფცია“ ეწოდოს. ვაუჩერების გარდა, ასევე მახსენდება დასაქმების ერთჯერადი პროექტები და მასზე დახარჯული ათეულობით მილიონი. როგორც ჩანს, ხელისუფლებას სხვა უფრო ეფექტური, კონკრეტული გეგმა არ აქვს, თუ როგორ შეიძლება, სიღარიბის ზღვარზე მყოფ ხალხს და ზოგადად, უმუშევრობის და სიღარიბის პრობლემის დაძლევას ხელი შეუწყოს. ამ თანხით შესაძლებელი იყო თუნდაც მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ან კიდევ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ფონდის შექმნა. რაც შეეხება ვაუჩერებს, უფრო სამართლიანი იქნებოდა, ამ ვაუჩერის ბენეფიციარებად მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები ყოფილიყვნენ და არა მთელი მოსახლეობა, რასაც სოციალური სამართლიანობა მოითხოვდა. განვითარებულ ქვეყნებში ანალოგების არსებობასთან დაკავშირებით თქვენს კითხვაზე კი შემიძლია, თამამად გითხრათ, რომ ევროპაში მსგავსი პროექტების შესახებ არც სმენიათ, არათუ გააჩნიათ. სამწუხაროდ, მხოლოდ ღაზას სექტორი მახსენდება, სადაც მოსახლეობისათვის კვების პროდუქტებზე ვაუჩერები წარმატებით იქნა გამოყენებული, ვინაიდან მსგავსი პრაქტიკა მხოლოდ საგანგებო სიტუაციების დროს გამოიყენება.

**— 2012 წლის 1 სექტემბრიდან 67 წელს ზევით ყველა პენსიონერის საპენსიო პაკეტი 140 ლარს გაუტოლდება, რომელშიც 15-ლარიანი დაზღვევაც შედის. მთავრობის მტკიცებით, სადაზღვევო პაკეტში უფასო კონსულტაციები, დაგეგმილი ულიმიტო ოპერაციები 20%-იანი თანადაფინანსებით, ასევე გადაუდებელი ოპერაციები და ქიმიოთერაპია 20%-იანი თანადაფინანსებით, წამლის თანადაფინანსება 200-ლარიანი ლიმიტითა და 50%-იანი თანადაფინანსებით შედის, ძირითადი ანალიზები კი უფასო იქნება. თქვენი შეფასებით, არის თუ არა ეს პროგრამა სწორად გაწერილი და რამდენად გააუმჯობესებს ის პენსიონერების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას?**

— პენსიების ზრდაში თავისთავად ცუდი არაფერია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს მხოლოდ პენსიების თანხობრივ მატებას გულისხმობს, სადაც მსყიდველუნარიანობა გათვალისწინებული არ იქნება, საკმაოდ მძიმე სოციალური აფეთქების მიზეზი შეიძლება, გახდეს. ამდენად, მიმაჩნია, რომ უფრო მნიშვნელოვანია საპენსიო რეფორმა, რომელიც გრძელვადიანი, კარგად გათვლილი და უკეთესი შედეგის მომტანი იქნება. საპენსიო რეფორმა აუცილებლადაა განსახორციელებელი. დაახლოებით 10 წლის წინათ საქართველოში უკვე არსებობდა კანონთა პაკეტი, რომელსაც ქვეყანაში კერძო საპენსიო სისტემის ელემენტები შემოჰქონდა. ის, რომ საპენსიო სისტემა დღეს ქვეყანაში პოლიტიკურ დივიდენდებს არის შეწირული, ამაში ახალი არაფერია. საეჭვოდ მიმაჩნია ახალი სოციალური ინიციატივაც, რომელიც ისევ პოლიტიკურ ელფერს ატარებს, უდავოა, რომ იგი 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან პირდაპირ კავშირშია და რეალურად მის განხორციელებაშიც ეჭვი მეპარება. პრეზიდენტს მოქალაქეებისთვის 100 აშშ დოლარამდე პენსიის გაზრდის თაოზაზე პირობა აქვს მიცემული და პირობას ხომ არ დაარღვევს?! ინიციატივების ნაადრევად დაგეგმვა და შემდეგ მისი საჯაროდ გამოტანა ხელისუფლების ნაცადი ხერხი და მანიპულირების ეფექტური საშუალებაა. ასეთი ინიციატივით მთავრობა პენსიონერებს არათანაბარ პირობებში აყენებს, რასაც არასაკმარისი რესურსებით ხსნის. თუმცა აშკარად კითხვებს აჩენს სხვა სფეროების დაფინანსების საკითხები, მაგალითად, ხომ არ იქნებოდა უკეთესი და უფრო ეფექტიანი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების შემცირების ხარჯზე პენსიების გაზრდა? ან თუნდაც ამ ახალი ინიციატივის მოცვა ყველა კატეგორიის პენსიონერთათვის? ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომელიც ბიუჯეტში ციფრებით არის გამოხატული, კერძოდ, 2012 წლის თითქმის 8 მლრდ-იანი (300 მილიონით გაზრდილი) ბიუჯეტიდან პენსიების მატებისთვის 70 მილიონი ლარი დაიხარჯება, 2013 წელს კი პენსიების მატებას, სავარაუდოდ, 200 მილიონი ლარი მოხმარდება. ასე რომ, მთავრობის უმთავრესი ამოცანა – პენსია 100 ამერიკული დოლარი გახდეს, სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის დასასრულისთვის ამოხსნილად ჩაითვლება, თუმცა მის მსყიდველუნარიანობაზე არავინ საუბრობს.

**— ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში პენსია მხოლოდ 14 ლარი იყო, დღეისათვის – 100 ლარია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღეს „ცხოვრება უფრო ძვირი ღირს“, ვიდრე – 2003 წელს.. თუმცა მიუხედავად ამისა, შეიძლება, თუ არა ითქვას, რომ საქართველოში დღეისათვის პენსიები გაზრდილია?**

— რეალურად, პენსიის მსყიდველობითუნარიანობა 2003 წლის დეკემბრის ფასებით მხოლოდ 40-42 ლარის ეკვივალენტურია. 2010 წლისთვის საშუალო პენსიის სიდიდე გაზრდილია 6.1-ჯერ, მისი მსყიდველობითი უნარიანობა კი მხოლოდ 3-ჯერ გაიზარდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დროს, სურსათზე ფასებმა 220.4%-ით მოიმატა. ასევე თითქმის 4-ჯერ გაიზარდა ბუნებრივი აირის ფასი, ელექტროენერგიისა - 1.6-ჯერ. მაღალი ინფლაციის ფონზე, პენსიის მსყიდველობითი უნარი 25%-ით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 90 ლარის მსყიდველობითი დონე 67 ლარზე დავიდა. ამდენად, ეს ყველაფერი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ დღეს პენსიის ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ის 100 ლარი გახდა და შემოდგომიდან კი 140 ლარს გაუტოლდება, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მან შეასრულოს ის ფუნქციები, რომლისათვის პენსიები ზოგადად არსებობს. ის უფრო დემოგრანტია, ვიდრე ნამსახურევი წლების საფასური და პენსია, რომელიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, ცხადია იმ ფუნქციას ვერ შეასრულებს, რა ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს.

**— ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანამ 2011 წელი 6.5%-იანი ეკონომიკური ზრდით დაასრულა. შესაბამისად, გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. რამდენად შესაბამება ერთმანეთს მთავრობის მიერ დეკლარირებული ციფრები და რეალური სიტუაცია?**

— აღიარებულია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა თავისთავად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ნიშნავს, ამიტომაც ამ ციფრებით აპელირება მომგებიანია, მაგრამ მისი ახსნა ბუნდოვანია. ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი ამავე პერიოდში ამ ქვეყანაში მაცხოვრებელი ადამიანების რაოდენობაზე იყოფა და თითოეული ინდივიდისთვის ერთგვარი „საშუალო არითმეტიკული“ დგება. თუმცა ეკონომიკის მდგომარეობა, დასაქმება, თვითდასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების დონე ურთიერთდაკავშირებულია. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანამ 2011 წელი 6.5%-იანი ეკონომიკური ზრდით დაასრულა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფლაციის მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა. საინტერესოა ისე, ინფლაციის არსებული ნიშნულის ფონზე ეკონომიკური ზრდა როგორ ფიქსირდება, როცა ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ ინფლაცია ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას იწვევს? ან კიდევ როგორ შეიძლება, ეკონომიკურ ზრდაზე ვისაუბროთ, როცა უმუშევართა რაოდენობა არ იკლებს, არც დასაქმების პოლიტიკაა აქტიური ხასიათისა... ჯინის კოეფიციენტის თანახმად, საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფში შედის, სადაც მოსახლეობის საშუალო ფენა არ არსებობს ან მათი რაოდენობა მცირერიცხოვანია. შესაძლოა, ესეც გარკვეულწილად პოლიტიკის ნაწილია, ვინაიდან ღარიბები უფრო ადვილად იმართებიან და მიზერული სოციალური ინიციატივების სანაცვლოდ ისინი ხელისუფლების ნება-სურვილს სიამოვნებითაც კი ასრულებენ. რაც შეეხება მეორე უკიდურეს მხარეს, სამწუხაროდ, დღეს ისინი საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად და კიდევ უფრო გასამყარებლად, რასაკვირველია, მთავრობის მხარეს რჩებიან. ასეთი სურათი კი ქვეყანაში ლიბერალური პათოსის არსებობის წარმოდგენას ნამდვილად არ ქმნის.

**— და ბოლოს, როგორია თქვენი პროგნოზი, რა სახის სოციალური გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო მიმდინარე წელს?**

— ქვეყნის სოციალური მდგომარეობა საგანგაშოა, საქართველოში სოციალური ვითარების გამოსწორება მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლად შეუძლებლად მიმაჩნია. ამ მხრივ ქვეყანაში ბიზნეს-ინკუბატორების პრაქტიკის დანერგვა კარგი იქნებოდა. აღნიშნული განიხილება, როგორც ბიზნესი ბიზნესის განვითარებისათვის, რომელიც სიღარიბის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ვინაიდან იგი არამარტო ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ სამუშაო ადგილების შექმნას ემსახურება, არამედ რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას იწვევს. ნებისმიერმა ქვეყანამ განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა უპასუხოს შეკითხვას, თუ რა ურჩევნია: პირდაპირ დაეხმაროს სოციალურად გაჭირვებულ ადამიანს, მისი მოთხოვნილებების ზრდის პროპორციულად სოციალური დაცვის ხარჯები დაუსრულებლად ზარდოს და ამით სისტემაზე დამოკიდებული გახადოს, თუ პრიორიტეტად ეკონომიკური ზრდა აქციოს, შექმნას დასაქმების შესაძლებლობა და საკუთარ კეთილდღეობაზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენას ხელი შეუწყოს? საპენსიო სისტემაში საქართველოს მსგავს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს აღნიშნულ სფეროში „ახალი ველოსიპედის“ გამოგონება ნამდვილად არ მოუწევთ. მხოლოდ სხვების გამოცდილების გაზიარებაც საკმარისია საკუთარი მოდელის შემუშავებისა და პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისათვის. ასევე აუცილებელია, შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება, რისთვისაც თვისობრივად ახალი შრომის კანონმდებლობაა მისაღები, რომლითაც თითოეული დასაქმებულის უფლებები იქნება დაცული. ამდენად, ქვეყანაში, სადაც რეალური სოციალური დაცვის კონცეფცია არ არსებობს, სადაც საზოგადოება ეკონომიკურ გარანტიებს მოკლებულია, ლიბერალური მომავლის მშვენებლობა ცოტა არ იყოს ილუზორულია. ასეთი ტენდენციით სოციალური მდგომარეობა საქართველოში კიდევ უფრო დამძიმდება. ამ დამძიმების ნიშნებიდან სამომხმარებლო პროდუქტზე ფასების თითქმის ყოველკვირეული მატების ფონზე მინიმალურ შემოსავალს და უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს გამოვყოფდი. დროა, ბიუჯეტის ხარჯვის პრიორიტეტები შეიცვალოს და აქცენტები ეკონომიკურად სარგებლიან პროექტებზე გაკეთდეს. საჭიროა სერიოზული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და აგრარული სექტორის სტიმულირება. ისეთი კლიმატური პირობების ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, ცოტა არ იყოს უხერხულია, სოფლის მეურნეობა თანამედროვე დონეზე არ იყოს განვითარებული.

**თელარა გელანტია**

**ინფორმაცია**

## სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ღირებულება 40 ლარით განისაზღვრა

**„სადაზღვევო კომპანიების, ქალაქ თბილისის მერიის და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ქალაქ თბილისის მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების ასანაზღაურებელი ღირებულების განსაზღვრის შესახებ“ თბილისის მთავრობის დადგენილება უკვე გამოქვეყნდა და, შესაბამისად, ძალაშიც შევიდა.**

**დადგენილებაში ნათქვამია, რომ მოსახლეობის მიერ უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიღებისათვის, რაც განპირობებულია იმით, რომ ქალაქ თბილისის მერია სრულად ანაზღაურებს ქალაქის მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას, უშუალოდ და სადაზღვევო პროგრამების მეშვეობით, საჭიროა განისაზღვროს სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ღირებულება.**

**მომსახურება კი ანაზღაურებული იქნება სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისთვის“ თბილისის მერიის, ასევე სადაზღვევო კომპანიების და ცალკეულ შემთხვევებში, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ.**

**შესაბამისად, თბილისის მთავრობამ დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ღირებულება, რომელიც ანაზღაურდება ქალაქ თბილისის მერიის, სადაზღვევო კომპანიებისა და ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ, განისაზღვრება 40 ლარის ოდენობით.**

ინტერპრესი

არის ასეთი აზრი

# „აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთვის ავტონომიის მინიჭება მათ დაკარგვას აგვაცილებს“



**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ქართული საზოგადოება ძალიან სერიოზულად იხილავს საკითხს, მივანიჭოთ თუ არა დე ფაქტო რეგიონებს ავტონომია?! ამ დროს კი, რეალურად, მათი დაკარგვის საფრთხის წინაშე უკვე ვდგავართ. Presage.tv გოგი ხუციშვილს ესაუბრა.**

— აგვისტოს ომის შემდეგ გაჩნდა ისეთი სიტუაცია, როდესაც უკვე ვამბობთ, რომ ჩვენ გვაქვს კონფლიქტი რუსეთთან, ამიტომ ასეთნაირად დადგა საკითხი: გვაქვს თუ არა კონფლიქტი აფხაზებთან?! რა თქმა უნდა, გვაქვს აფხაზებთან და ოსებთან პრობლემა მოსაგვარებელი, ასაშენებელია ნდობის ფაქტორი. ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა გაკეთდეს იმით, რომ ჩვენი ოფიციალური პოლიტიკა — ჩართულობა, რომელსაც ოფიციალურად ვაცხადებთ, რეალობად უნდა იქცეს. ეს ჩართულობა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა ვაშენოთ ურთიერთობები არა მხოლოდ საზოგადოებებთან, არამედ უნდა ვეცადოთ, ურთიერთობის გარკვეული სამუშაო რეჟიმი გვქონდეს დე ფაქტო ხელისუფლებებთან. სერიოზული დიალოგი უნდა დაიწყოს. მართალია, ეს დიალოგი დაწყებულია საზოგადოებებს შორის, მაგრამ იმ მასშტაბით არა, რაც სასურველია, არამედ პატარა ჯგუფებში. თუმცა კარგია, რომ არის გარკვეული დიალოგის პროცესი.

ხელისუფლებებს შორის კი არ არის არანაირი დიალოგის პროცესი, გარდა ჟენევის მოლაპარაკებისა. სწორედ ეს არის მთავარი გამოსასწორებელი, რომ არა მხოლოდ ჟენევის ფორმატში, არამედ ხელისუფლებებს შორის — დე ფაქტო და საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის გარკვეული მუშა რეჟიმი უნდა არსებობდეს. ვინაიდან ის საკითხები, როგორიცაა ადამიანური უსაფრთხოება, ვაჭრობის განვითარება, სასაზღვრო პრობლემები, ადმინისტრაციულ საზღვარს ვგულისხმობ, შეუძლებელია, მოგვარდეს, თუ არ იქნება კომუნიკაციის მხრივ სამუშაო რეჟიმი ხელისუფლებებს შორის. ეს კი, ჯერჯერობით, არ გვაქვს. აგვისტოს ომის შემდეგ სიტუაცია სტატუსკვოს მდგომარეობაში ჩაიკეტა, რისი შეცვლაც ძალიან ძნელია.

**— დე ფაქტო ხელისუფლება მოდის ჩვენთან დიალოგზე? უნდათ ჩვენთან ურთიერთობა?**

— იცით რა, ჯერ ერთი, უნდა დავანახოთ ჩვენი მზადყოფნა. არსებობს საშუალებები, რომ ეს ურთიერთობა განვითარდეს. ბოლო დროს მე ვხედავდი სხვა ტენდენციას იმისას, რომ მთელი აქცენტი ყოფილიყო გადატანილი ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე და იმ საკითხების იგნორირება მომხდარიყო, რომლებიც ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობას შეეხებოდა.

**— ეს ოპოზიციასაც ეხება?**

— რა თქმა უნდა, ეს ეხება არა მხოლოდ ხელისუფლებას და ოპოზიციას, არამედ — საზოგადოებასაც, სადაც ძალიან სერიოზულად იხილავენ საკითხს, მივანიჭოთ თუ არა დე ფაქტო რეგიონებს ავტონომია? მაშინ, როდესაც უკვე დაკარგვის საკითხია, ჩვენ ვკარგავთ აფხაზეთს.

**— უნდა მივანიჭოთ ავტონომია?**

— აუცილებლად. ორივეს, აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც, სხვანაირად არ გამოვა.

**— მერე ეს ჩვენთვის დათმობის ტოლფასი არ იქნება?**

— არ იქნება დათმობის ტოლფასი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ჭკვიანურად წარვმართავთ ამ პროცესს.

**— ჯიოევას განცხადება, რომ ქართულმა მხარემ ოსებს ბოდიში უნდა მოუხადოს, როგორ აღიქვით?**

— ჯიოევა საერთოდ არ არის წამყვანი ფიგურა, ის იყო სიმბოლო იმისა, რომ ხალხი გამოდიოდა კოკოითის რეჟიმის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა ოპოზიციას, ანუ ცვლილებები უნდოდა. აქ მთავარი იყო ცვლილებების მოთხოვნა და არა მაინცდამაინც ალა ჯიოევას გაპრეზიდენტება. ეს არ ყოფილა არასდროს მიზანი. მე ვთვლი, რომ საერთოდ, ხელისუფლებამ უნდა მოუხადოს ბოდიში, წინა ხელისუფლებების სახელითაც, მთლიანად საქართველოს მოსახლეობას, რაც იყო ამ კონფლიქტის განვითარების დაყოვნების შედეგად, რა ზარალიც მიადგა მოსახლეობას, აქაც და იქაც. ანუ, ჩვენ გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ იმაზე, რომ კონფლიქტის გაღვივებაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი.

**— მარტო ჩვენ თუ რუსებს?**

— უნდა მოვუწოდოთ, რომ მათი მხრიდანაც მოხდეს მომხდარის გამო პასუხისმგებლობის აღება, მაგრამ ჩვენ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვაღიაროთ.

**— ჟენევის ფორმატით მოლაპარაკებების პროცესში ქართული მხარის არგუმენტი ისიცაა, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარედ აფხაზებისა და ოსების წარმოჩენას ვერიდებით, რათა ამით დე ფაქტო რეგიონების უნებური აღიარება არ გამოგვივიდეს და ვამჯობინებთ კონფლიქტის მხარედ რუსეთის აღიარებას.**

— დიახ, ჩვენი არგუმენტით, თუ მათ მხარეებად ჩავთვლით, ეს მათი აღიარებისკენ ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს. სინამდვილეში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოლაპარაკებისას მხარის აღიარება სულაც არ ნიშნავს მისი სტატუსის აღიარებას.

**— დე ფაქტო რეგიონებში ახალი ხელისუფლებების მოსვლა ჩვენთვის რას შეცვლის?**

— ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ უფრო გავააქტიუროთ ჩვენი ურთიერთობები და საზოგადოების მიმოსვლა. გარკვეული ნდობის ფაქტორების აღდგენა, რომელიც შეიძლება შეიქმნას, ყველაფერი უნდა იყოს გამოყენებული. ამ მხრივ, მე ვთვლი, რომ ურთიერთობის ოდნავ მეტი საშუალება იქნება ანქვაბის დროს დე ფაქტო აფხაზეთში და კოკოითის წასვლის შემდეგ დე ფაქტო ოსეთში. რესურსი ახლა ოდნავ მეტია და ეს უნდა გამოვიყენოთ, რადგან ე.წ. სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებით უახლოეს წლებში რაიმე დადებით დინამიკას არ მოველი. თუნდაც იმიტომ, რომ მატულობს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა საქართველოს სხვა მოქალაქეებისგან გაუცხოება. ზოგიერთი ქვეყანა კი ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებით უკვე ეკონომიკური კუთხითაც ინტერესდება.

**მანანა ნოზაძე**

ეკონომიკა

# ეს თუ კომფორტულობაა!!

## როგორ ივსება საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი

**საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კვლავაც ეგრეთ წოდებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსია, ანუ საქართველოში უფრო მეტი იმპორტირებული ნაწარმი შედის, ვიდრე ქვეყნიდან პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება. შესაბამისად, საქართველოდან უცხოეთში ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი ლარი გაედინება. როგორ ხერხდება გასული თანხების უკან დაბრუნება, ანუ უარყოფითი სავაჭრო სალდოს ბალანსირება?**



2011 წელს საქართველომ საზღვარგარეთ სხვადასხვა პროდუქციის შესაძენად 6 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დახარჯა.და თუმცა ქვეყნიდან განხორციელებული ექსპორტის მაჩვენებელი 40 პროცენტით გაიზარდა, მისი მოცულობა ჯერჯერობით მხოლოდ 2 მილიარდ დოლარს მიუახლოვდა. შესაბამისად, უარყოფითი სავაჭრო სალდო 4 მილიარდ აშშ დოლარზე ოდნავ მეტია. ამას მაკროეკონომიკური სტაბილურობის საფრთხეს უწოდებს კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი დავით ნარმანია:

**„უარყოფითი სავაჭრო ბალანსის პრობლემა დღის წესრიგიდან კი არ იხსნება, არამედ სულ უფრო მეტად ღრმავდება და მწვავდება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი საქონელი შემოდის, ვიდრე გადის და საქართველო ხდება მოხმარებაზე ორიენტირებული ქვეყანა, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის პრობლემაა“.**

უარყოფით სავაჭრო ბალანსს საქართველოში ბევრი პოლიტიკოსი თუ ექსპერტი ქვეყნის ეკონომიკისთვის უარყოფით მოვლენად მიიჩნევს და ამის გამო ხშირად აკრიტიკებენ მთავრობას. ექსპორტზე თითქმის სამჯერ მეტ იმპორტში კი დავით ნარმანია შემდეგ პრობლემას ხედავს:

**„ჩვენგან ძირითადად ვალუტა გაედინება და როცა ექსპორტი შედარებით ნაკლებია, ვალუტის შემოდინება არ ხდება, რაც წარმოქმნის დეფიციტს უცხოურ ვალუტაზე.“**

დავით ნარმანიასგან განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ეკონომისტთა მეორე ნაწილი. ლიბერალური ეკონომიკის მომხრეები თავისუფალი ბაზრის პირობებში, იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენციის შედეგად, ადგილობრივი საექსპორტო წარმოების ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობას ხედავენ.

საზოგადოების დიდ ნაწილში გავრცელებული აზრისგან განსხვავებით, საქართველოს უარყოფით სავაჭრო სალდოში საფრთხეს ვერ ხედავს ეკონომიკის ექსპერტი, ჟურნალ „ტაბულის“ ერთ-ერთი ავტორი მიშა თავხელიძე:

**„ასეთი მაგალითი არსებობს: აიოვაში აწარმოებენ ხორბალს, ამ ხორბალს მერე ყიდიან და იაპონიაში ყიდულობენ მანქანებს. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს იგივეა, რომ აიოვაში მიწიდან მოჰყავთ იაპონური მანქანები. ჩვენ რაღაცას ვაკეთებთ, შეიძლება იმაზე ნაკლებს, ვიდრე ვყიდულობთ, მაგრამ ეს ფული ხომ საიდანღაც მოდის. საბოლოო ჯამში, გრძელვადიანი პერსპექტივით, საგარეო ბალანსი მაინც ნულს უტოლდება.“**

ის, რომ, საბოლოო ჯამში, სავაჭრო ბალანსი მაინც ნულს უტოლდება, საკამათო არ არის. შესაბამისად, საინტერესოა, რის ხარჯზე ხერხდება ეს, ანუ საიდან ჩნდება ის 4 მილიარდი აშშ დოლარი, რომელიც საჭიროა იმპორტ-ექსპორტის სხვაობის შესავსებად? ამ კითხვაზე პასუხი გასცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა 2011 წლის მიწურულს გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე:

**„მნიშვნელოვანია, როგორ ბალანსდება ეს 4 მილიარდი დოლარი, და FDIპირდაპირი (უცხოური) ინვესტიციები არის ამ 4 მილიარდის მხოლოდ და მხოლოდ ნაწილი. გადავიდეთ ჯამურ ინვესტიციებზე, იმიტომ რომ ეს ჯამური ინვესტიციები არის მნიშვნელოვანი იმის გასარკვევად, თუ როგორ ბალანსდება იმპორტი და ექსპორტი. 1 მილიარდი არის დაახლოებით პირდაპირი ინვესტიციები, 1 მილიარდი დაახლოებით არის უცხოეთში წასული ქართველების მიერ გადმორიცხული ფული. 1 მილიარდამდე ავა მომავალ წელს ტურიზმის შემოსავალი — 750 მილიონი დოლარი იყო წელს — და მილიარდ-ნახევარი არის უცხოური კრედიტები და გრანტები, რომელიც საგზაო ინფრასტრუქტურასა და სხვა ინფრასტრუქტურაში იხარჯება, ანუ, ჯამში, ეს 4 მილიარდი დოლარი ძალიან კომფორტულად იფარება შემოსული ჯამური ინვესტიციებით“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის აზრით, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი მართლაც წარმოადგენს გამოწვევას საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. ეს გამოწვევა კიდევ უფრო აქტუალური ხდება ევროს კრიზისისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების ფონზე. იმ ერთი მილიარდი დოლარის დიდი ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად საქართველოში შემოდის, სწორედ ევროპის ქვეყნებში დასაქმებული ქართველების შემოსავალია და არის საშიშროება, რომ ეს ფულადი ნაკადი შემცირდება.

ასეთ პროგნოზს არ იზიარებს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, რომელსაც 2008-2009 წლის მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროინდელი პრაქტიკა აიმედებს. მაშინ უცხოეთიდან შემოსული ფულადი გადარიცხვები უმნიშვნელოდ შემცირდა. იმ პერიოდისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობაში ევროს კრიზისიდან ზარალის ნაცვლად უფრო მეტ სარგებელს მოელიან. იმედოვნებენ, რომ ინვესტორები, რომლებიც ევროპის კრიზისში მყოფ ქვეყნებში ფულის დაბანდებას მოერიდებიან, საქართველოს მოაშურებენ.

**კახა მჭედლიძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

◉ კონკურსი




# თითქმის „შწონადი“ სილამაზე

ბევრს, ალბათ, ჯერაც ახსოვს ეროვნული ვალუტის — ლარის აღდგენით და მიმოქცევაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფულის კუპიურების გამოშვებით გამოწვეული სიხარული. მახსოვს, იმ ხანებში, რომ იტყვიან, „მოვლენის კვალდაკვალ“ დაწერილ ერთ-ერთ მასალაში ყურადღება მივაქციე, რომ ერთ და ათლარიანი, ასევე ხუთ და ოცლარიანი კუპიურები ფერით ერთმანეთისგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან, ამდენად მათი ერთმანეთში არევა ადვილია.

იმ მასალაში, მახსოვს, იმასაც ვწერდი, რომ შვეიცარიიდან დაბრუნებული ერთი ჩემი მეგობარი აღფრთოვანებას ვერ მალავდა იქაური ფრანკების კუპიურების ულამაზესი სიჭრელით, გაფორმების მრავალფეროვნებით. მაშინ დედაჩემის ერთი თქმაც მოვიყვანე — ყველაზე მეტად „მოძრავ“ ერთლარიან კუპიურაზე რაღა ნიკო ფიროსმანი გამოსახეს, მასზე ღარიბი დიდი ქართველი ხომ, ფაქტობრივად, არც არსებობს, ჰოდა ამიტომ ეროვნულ ვალუტას აბა რა ბარაქა უნდა დაყვესო...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ერთლარიანი და ორლარიანი კუპიურები მიმოქცევიდან ამოვარდა, მათი ადგილი შესაბამისი ნომინაციის მონეტებმა დაიკავეს, 5,10 და 20 ლარის ნომინალის კუპიურები კი კვლავაც მიმოქცევაშია და, მიუხედავად მათ მიმართ ზემოთ გამოთქმული ერთგვარად სკეპტიკური შენიშვნისა, ჩვენი ეროვნული ვალუტის ნიშნები პროფესიონალებში დიდი მოწონებითაც სარგებლობს. საქმე ის არის, რომ ინტერნეტ-საიტი Ermoshka.ru-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით ათლარიანი კუპიურა, რომლის ცალ მხარეს აკაკი წერეთელია გამოსახული, მეორეზე კი დავით კაკაბაძის ნახატი „იმერეთო, დედაო ჩემო“, მსოფლიოს 20 ულამაზეს ფულის ნიშანს შორის მოხვდა.

საგულისხმოა, რომ მსოფლიო ვალუტების კუპიურების ამ თავისებურ „სილამაზის კონკურსში“ „მის სამყაროს“ ტიტული ბანგლადეშურმა ორი ტაკის ნომინალის ფულის ნიშანმა მოიპოვა. პირველი „მის ვიცე-სამყაროს“ საპატიო წოდება სან-ტომესა და პრინსიპის 50 ათასი დობრის ღირებულების ფულის ნიშანს, „ულამაზესთა“ სამეულის „ჩამკეტი“ კი ბაჰამის კუნძულების ერთდოლარიანმა კუპიურამ დაიკავა. პირველ სამეულსა და ათლარიან ფულის ნიშანს შორის კი ბაჰრეინის ხუთდინარიანი ფულის ნიშანი მოექცა.

მარტო „ლამაზმან“ კუპიურათა პირველი ხუთეული ქვეყნის დასახელების გაცნობისას ცხადი ხდება, რომ საუკეთესოთა შორის არა ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული დიდი ქვეყნები, არამედ მცირე სახელმწიფოები მოხვდნენ, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკურ ელიტას ნამდვილად არ განეკუთვნებიან. ამას სილამაზით გამორჩეულთა დანარჩენი ქვეყნებისა და ფულის ნიშნების ნუსხა მოწმობს. კერძოდ, მეექვსე ადგილზე გავიდა ჰონგკონგის ათდოლარიანი კუპიურა, მეშვიდეზე — კუკის კუნძულების ადგილობრივი ათდოლარიანი, მერვეზე — ისრაელის ახალი დიზაინიანის 50 -შეკელიანი, მეცხრეზე — ისლანდიური 20 ათასკრონიანი, მეათეზე — ფარერის კუნძულების 50-კრონიანი. ეს რაც შეეხება სილამაზით გამორჩეული ფულის ნიშნების საუკეთესოთა ათეულს, მეორე ათეულში ადგილები ასე განაწილდა: მეთერმეტე ადგილი — ახალი ზელანდიის 10-დოლარიანი; მეთორმეტე —რუმინული 2000-ლეიანი; მეცამეტე — მალდივის კუნძულების ხუთრუფიანი; მეთოთხმეტე — სინგაპურის ხუთდოლარიანი; მეთხუთმეტე — კომორის კუნძულების 1000-ფრანკიანი; მეთექვსმეტე — საფრანგეთის პოლინეზია — საფრანგეთის წყნარი ოკეანეთის 1000-ფრანკიანი; მეჩვიდმეტე — შვეიცარიის 10-ფრანკიანი; მეთვრამეტე — შვედური 20-კრონიანი; მეცხრამეტე — იამაიკის 50-დოლარიანი და მეოცე — იაპონური 2000-იენიანი.

საგულისხმოა, რომ ფულის ნიშნების სილამაზით, როგორც ირკვევა, ძირითადად კუნძულოვანი სახელმწიფოები გამოირჩევიან — თუკი ეკონომიკების სიძლიერით და, მაშასადამე, საკუთარი ეროვნული ვალუტების „მძიმე წონოსნობით“ თავს მაინცდამაინც ვერ მოიწონებენ, სამაგიერო ფულის ნიშნები თვალის გასახარად მაინც კარგი სანახავი ხომ არის. ეს კუნძულოვანი სახელმწიფოებია სან-ტომე და პრინსიპი, ბაჰამები, ისლანდია, ახალი ზელანდია, კომორის, კუკის, ფარერების, მალდივების, საფრანგეთის პოლინეზიის, იამაიკის პატარა ქვეყნები და იაპონია. მათ შორის კი ეს უკანასკნელი სიაში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა ერთადერთი წარმომადგენელია, რომლის ფული ფინანსური წონის გარდა სილამაზითაცაა გამორჩეული.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ უსამართლო სამართალი

# აშშ კი არა წირავს ნაცთა მიერ განაწირსა

რამდენიმე თვის წინათ ხელისუფლებამ ნიშნის მოგებით გვამცნო, რომ აშშ-ის სამართალდამცავებმა საემიგრაციო წესების დარღვევისთვის დააკავეს შევარდნაძის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილია. ნაციონალების მართვად ყველა სატელევიზიო არხზე გამოდიოდა პროკურორი ნათია ხაფავა, ბალტიმორში განიხილეს ბასილიას ექსტრადიციის საკითხი და მას მალე საქართველოს გადმოსცემენო. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო.



ბალტიმორში სასამართლო მართლაც ჩატარდა, მაგრამ იქ განიხილებოდა, რა „ნაცებისათვის“ მიუღებელი კაცის ექსტრადიციის საკითხი, არამედ მისი განცხადება აშშ-ში პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ. საემიგრაციო სასამართლომ, ბასილიას მხრიდან მყარი არგუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, დააკმაყოფილა სააკაშვილ-მერაბიშვილის მიერ შერისხულის თხოვნა, მას პოლიტიკური მოტივებით დევნილის სტატუსი მიანიჭა და შეერთებულ შტატებში თავშესაფარი მისცა.

სააკაშვილის რეჟიმი შოკში ჩააგდო ქართული მხარის მიერ ინტერპოლისთვის გადაცემული და წითელი ცირკულარით ძებნილი ბასილიას მიმართ აშშ-ის ადმინისტრაციის კეთილგანწყობამ. ძებნილი გაეროს ეგიდით მუშაობდა ტაჯიკეთში და იყო გაეროს პროგრამა „მილენიუმის“ ხელმძღვანელი, შემდეგ იგი პროგრამის წარმომადგენელი იყო ტაჯიკეთში.

„ვარდოსნები“, როგორც ყოველთვის, მალავენ სიმართლეს. ამ შემთხვევაში იმას, თუ რა ბედი ეწია ბალტიმორის სასამართლოს შემდეგ ბასილიას და სად იმყოფება იგი ამჟამად.

# პოლიტემიგრანტები მრავლად არიან

„რევოლუციონერების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მომრავლდა პოლიტიკური შეხედულებებისა თუ პიროვნული ანგარიშსწორების გამო საქართველოს მოქალაქეების მიმართვები უცხო სახელმწიფოებისადმი პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების თხოვნით. მათ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ კიდეც. მათ შორის ისეთი ქვეყნები, რომელთაც „ყვავილოვნები“ თავიანთ მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოებად ასახელებენ. დევნილთა შორის ბევრია სააკაშვილის მიერ აღზევებული, რომელნიც ისევ რეჟიმმა მოიკვეთა, ქვეყნის (ანუ სააკაშვილისძ მოღალატედ შერაცხა.

პირველ რიგშია ყოფილი გენერალური პროკურორი, შს და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. იგი, სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისმა დიდმა მეგობარმა საფრანგეთში შეიფარა. ამავე ქვეყანამ მისცა თავშესაფარი ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს მიხეილ ქარელსაც.

გერმანიამ შეიფარა თავის დროზე სააკაშვილის მაქებარი და პრეზიდენტის ქებული, შემდეგ კი ქონებააყრილი და საქართველოდან გაქცეული ბიზნესმენი, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ყოფილი მეპატრონე ქიბარ ხალვაში. მას ქონება უკანონო გზებით ეროსი კიწმარიშვილმა ჩამოართვა, დღეს კი ეს უკანასკნელი წუწუნებს, კანონიერად შეძენილს (იგულისხმება „მაესტრო“ქ უკანონოდ მართმევენო.

გერმანიაშივე ჰპოვა თავშესაფარი სატყეო მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა ბიძინა გიორგობიანმა, რომელიც ინტერპოლის მიერ დღესაც წითელი ცირკულარით „იძებნება“.

სააკაშვილის „დიდ მეგობარ“ ქვეყანაშია „მადნეულის“ ყოფილი დირექტორი ზურაბ ლოზუანიძე. მისი პოსტი კოტე ნაყოფიამ დაიკავა, რომელიც ოქროსმომპოვებელთა ფულებს უანგარიშოდ ფლანგავს იმ დონემდე, რომ 20 ათასი დოლარის გადახდასაც არ ინანებს, რათა ჰოლივუდის ვარსკვლავის გვერდში დასაჯდომად ადგილი იყიდოს.

ამ ქვეყანაშივე იპოვა თავშესაფარი გასამხედროებული პოლიტიკური ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობის“ (ის დღესაც ასეთივედ რჩება)ძ სწრაფი რეაგირების ბატალიონის უფროსმა სოსო ჯანდიერმა.

შვეიცარიამ შეიკედლა ხელისუფლების მოძულებულები: მოკლული აკადემიკოსის გურამ შარაძის შვილი რუსუდანი და სკანდალური ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქვეყნის პირველი ლედის სამშობლომ, ჰოლანდიამ მისცა თავშესაფარი სააკაშვილის ქებნილ თავდაცვის მინისტრის მაღალჩინოსანს იასონ ჩიხლაძეს. ბასილიას გარდა დევნილის სტატუსი აშშ-მა თავდაცვის სამინისტროს ყოფილ საზღვაო ძალების სარდალს გოჩა ვეტრიაკოვსაც მიანიჭა. ნაციონალები მას ხან მოღალატის, ხანაც ბიუჯეტიდან დიდი თანხების გამფლანგველის იარლიყს აწებებენ.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მისი მეუღლე ბადრი ბიწაძე ამჟამად საფრანგეთშია, სადაც უნდა გადაწყდეს მისთვის ამ ქვეყნის მიერ პოლიტიკური ძებნილის სტატუსის მინიჭების საკითხი.

როგორც ჩანს, მოწინავე ქვეყნები საქართველოსთან მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავად, დიდად არ ენდობიან მის „რეფორმირებულ“ მართლმსაჯულებას.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

### გიორგი დემეტრაძემ სტრასბურგის სასამართლოში იჩივლა



ჩვენი ქვეყანა სტრასბურგის სასამართლოსადმი მიმართებით, რა ხანია, ლიდერობას არავის უთმობს. ამ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ განცხადებებს კიდევ ერთი შეემატა — ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის განცხადება.

„ქართული პარტიის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი სოფიო ხორგუანი აცხადებს, რომ რუსთავის №6 საპყრობილეში უკანონო პატიმრობაში მყოფ გიორგი დემეტრაძის ფიზიკური მდგომარეობა დამძიმდა.

**„ახალი თაობა“.**

### შარშანდელთან შედარებით საახალწლო ვაჭრობის მოცულობა 30-40 პროცენტით შემცირდა

შარშან ამ დროს მაღალი ხარისხის 1 კგ. საქონლის ხორცი 9 ლარი ღირდა, ამ ფასად წლეულს ხალხმა გაყინული ქათამიც კი ვერ შეიძინა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, „იაფი პროდუქტის“ პროგრამის ფარგლებში უმეტესწილად თურქული, ირანული და სომხური წარმოების სურსათი იყო წარმოდგენილი.

**„რეზონანსი“.**

### რა ჩაიდინა სააკაშვილმა ამერიკაში?

ამის შესახებ აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთი ჟურნალისტი ჰყვება: „ვითარება ძალიან იძაბება, გიორგი ბარამიძე რეკავს ამერიკის ელჩთან ჯონ ბასთან, რომელიც პოლიციაში აგვარებს საქმეს, თუმცა ისე ბრაზდება, ლამის კედლებზე იწყებს სიარულს, ბარამიძეს ეუბნება: — იცოდეთ, ეს ბოლო ჩარევაა, ამის შემდეგ ნუღარ შემაწუხებთო“.

**„ალია“.**

◉ ინფორმაცია

### ახალგორში ჩამოსხმული ლუდი აფხაზეთშიც გაიყიდება

ახალგორში ჩამოსხმული ლუდი აფხაზეთშიც გაიყიდება. ამის შესახებ ახალგორელები იტყობინებიან.

ადგილობრივების ინფორმაციით, ლუდის ქარხანა „ალუტონი“ ახლო მომავალში დაიწყებს ლუდის წარმოებას და წარმოება საკმაოდ მასშტაბური იქნება.

— აქ ჩამოსხმულ ლუდს გასაყიდად აფხაზეთშიც გაიტანენ. პროდუქციის გატანაში ქარხანას „ბალტიკა“ დაეხმარება, — აცხადებენ ახალგორელები.

ლუდის მწარმოებელმა რუსულმა კომპანია „ბალტიკამ“ ქარხანა „ალუტონთან“ კონტრაქტი გასული წლის ბოლოს გააფორმა. „ალუტონი“ ახალგორში, „ლომისის“ ყოფილ ქარხანაში განთავსდა.

**ინტერპრესი**

## პროგნოზი

# გადატვირთვის პოლიტიკას სერიოზული პრობლემები ემუქრება და 2012 წელს შეიძლება, არც კი იარსებოს



საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესებსა და 2012 წელს საქართველოს სავარაუდო საგარეო საფრთხეებზე **„ინტერპრესნიუსი“** გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარეს **თენგიზ ფხალაძეს** ესაუბრა.

**— ბატონო თენგიზ, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ბჟეზინსკიმ ჟურნალ „ფორინ პოლისში“ გამოქვეყნებულ საავტორო სტატიაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გეგმებთან დაკავშირებით, რამდენიმე საყურადღებო აზრი გამოთქვა — „აშშ-ის პოზიციების შესუსტების გამო საქართველო, უკრაინა და ბელორუსია საფრთხის ქვეშ არიან“; „აშშ-ის გლობალური გავლენის შესუსტება კონფლიქტების საფრთხის შემცველია“; „საქართველო რუსეთის მხრიდან პოლიტიკური დაშინებისა და სამხედრო აგრესიის კუთხით მგრძნობიარე ხდება“. რამდენად რეალურია პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის გავლენის ზრდის შესაძლებლობა და რუსეთის მხრიდან საქართველოს დაშინებისა და სამხედრო აგრესიის ალბათობა?**

— აშშ-ში, ისევე როგორც ყველა სახელმწიფოში, კეთდება მოვლენათა განვითარების პროგნოზები და მუშავდება სცენარები, თუ რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს მოვლენები. რაც ხდებოდა მსოფლიოში 2011 წელს და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, გვაჩვენა, რომ გადატვირთვის პოლიტიკას სერიოზული პრობლემები ემუქრება და 2012 წელს გადატვირთვის პოლიტიკამ შეიძლება, არც კი იარსებოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სათავეში ის პოლიტიკური ძალები იქნებიან, რომლებიც ევრაზიული კავშირის შექმნაზე საუბრობენ და დასავლეთს ახალი „ცივი ომით“ ემუქრებიან.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ყველა განვითარებულ ქვეყანაში განიხილება მოვლენათა განვითარების სცენარები. ბზეჟინსკის განცხადება არაფერს დამამშვიდებელს არ გვეუბნება, მაგრამ ის, რომ ასეთი განცხადება კეთდება და ამაზე საჯაროდ მიმდინარეობს დისკუსია, კარგია. კარგია იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს არა მარტო ჩვენ ვხედავთ, არამედ ხედავენ ჩვენი პარტნიორებიც. 2008 წელს სამხედრო აგრესიის წინ რომ ყოფილიყო ამ დონის ურთიერთგაგება, ჩვენ და ჩვენს პარტნიორებს გვემუშავა პრევენციის მექანიზმებზე, გაცილებით სხვა რეალობას მივიღებდით და შესაძლებელია, ბევრი პრობლემა ისეთი სიმწვავით არ დამდგარიყო, რა ხარისხითაც დაგვიდგა. ამ პრობლემებზე საუბარი იმასაც ნიშნავს, რომ დასავლეთი არსებულ პრობლემებს არ ემალება და ამ საკითხებს საკმაოდ მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებს.

რაც შეეხება თავად რუსეთს. რუსეთში ყველაზე საშიშია ის პოლიტიკური ელიტა, რომელსაც აქვს განცდა, რომ მის მმართველობას საფრთხე ემუქრება. პროცესები, რომელიც ახლა რუსეთში ვითარდება, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს, რა მიმართულებით განვითარდება თავად რუსეთი და მისი საგარეო პოლიტიკა. თუ რუსეთში რევანშისტულმა ძალებმა გაიმარჯვეს, რომლებიც ცდილობენ არა მარტო დემოკრატიის ჩახშობას, არამედ ყოფილი საბჭოთა იმპერიის ძლიერების აღდგენას, ასეთ შემთხვევაში კრემლის მაქსიმალური ძალისხმევა იქნება მიმართული იმ ქვეყნებისადმი, რომელსაც რუსეთი საფრთხედ აღიქვამს. ბუნებრივია, ასეთი ქვეყანაა საქართველოც. რუსეთი ასევე შეეცდება თავისი პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერებას უკრაინასა და ბელორუსში.

**— იმავე სტატიაში ბზეჟინსკი ამტკიცებს, რომ „ევროპას უკრაინის დასავლეთთან ინტეგრირების შესაძლებლობა შეუსუსტდება, რაც რუსეთის იმპერიული ამბიციების აღორძინების საფრთხეს ქმნის“. მისივე მტკიცებით, „აშშ-ის შესამჩნევი უკანდახევა, „სამხრეთის ნაკადის“ ამოქმედება რუსეთს მისცემს შანს, შეაგუოს დასავლეთი პოსტსაბჭოთა სივრცეზე მოსკოვის გავლენის ზრდას და მოარყიოს ლატვიის უსაფრთხოება“. რა ბედი ეწევა „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობაზე ანკარის თანხმობის შემდეგ „ნაბუკოს“ პროექტს?**

— რაზეც ბატონი ბზეჟინსკი საუბრობს, აუცილებელი არ არის, რომ სწორედ ასე განვითარდეს. იგი არ გახლავთ ერთადერთი დასავლელი პოლიტოლოგი, ვინც ამ საფრთხეებზე ღიად საუბრობს. სულ ახლახან გამოვიდა ფრიდმანის ახალი წიგნი „მომავალი ათი წელი“, რომელშიც სწორედ იმ საფრთხეებზეა საუბარი, რომელზეც ბზეჟინსკი მიუთითებს. ფრიდმანი საუბრობს იმაზეც, რომ შემდგომ პერიოდში ნეობოლშევიკური და ნეოკომუნისტური ძალები მაქსიმალურად შეეცდებიან პოსტსაბჭოთა სივრცეზე თავისი გავლენის აღდგენას. მათ შორის დასახელებულია ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიც. პოლიტოლოგთა პროგნოზები სწორედ იმიტომაც კეთდება, რომ ეს ყველაფერი ასე არ მოხდეს. 2012 წელი ძალიან მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სწორედ ამ წელს არჩევნების წელია რუსეთში, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩვენთანაც. 2012 წელს დაგეგმილია ნატოს ჩიკაგოს სამიტიც. ეს ის მოვლენებია, რომლებმაც მნიშვნელოვანი პასუხი უნდა გასცენ სწორედ იმ კითხვებს, თუ რა მიმართულებით წავა მსოფლიო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ განვითარდება პროცესები ევროპაში. რამდენად მოახერხებს ევროპა ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, ევროს შენარჩუნებას. ყველა ის პროექტი, მათ შორის „ნაბუკოს“ განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, როგორ წარიმართება პროცესები ევროკავშირში. ევროპაში ალტერნატიული ენერგომატარებლების გაჩენას ფინანსური სახსრები სჭირდება, ამიტომ რაც უფრო მალე შეძლებს ევროპა ეკონომიკურ პრობლემებთან გამკლავებას, მით უფრო მეტი გასაქანი მიეცემა ახალ პროექტებს და მათ შორის „ნაბუკოს“ პროექტსაც.

**— გასულ წელს აშშ-ის სენატმა, ევროპარლამენტზე გაცილებით ადრე, ზაფხულში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიარა. ნაადრევი ხომ არ არის იმაზე საუბარი, რომ აშშ საქართველოს ჯეროვნად მხარს არ უჭერს, ანაც მომავალში არ დაუჭერს მხარს?**

— მე საერთოდ ვერ ვხედავ მოვლენების ისეთ განვითარებას, რომ აშშ-მა საქართველოს მხარი არ დაუჭიროს. პირიქით, აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული ხელშეკრულება ამას ადასტურებს. ვაშინგტონსა და თბილისს შორის თანამშრომლობა ყოველდღე იზრდება, ამერიკა საქართველოს ძალიან მნიშვნელოვან და გრძელვადიან სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს. არანაირი ნიშნები არ არსებობს იმისა, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობები აღმავალი გზით არ განვითარდება.

**— თქვენი აზრით, მოაწერს თუ არა ობამა ხელს სენატის გადაწყვეტილებას, რომლითაც აშშ-მ საქართველოს თავდაცვითი იარაღი უნდა მიაწოდოს?**

— ეს მართლაც საინტერესო თემაა. ამ საკითხზე უკვე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პრეზიდენტი ობამა ამ გადაწყვეტილების ხელმოწერისას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს ეხება, გარკვეულ „დათქმებს“ გააკეთებს, რომლითაც საქართველოსთან დაკავშირებული მუხლები შესასრულებლად აუცილებელი არ იქნება.

ჩემი აზრით, ობამა ამ დოკუმენტს სავარაუდოდ ხელს მოაწერს. არ ვიცი, „დათქმები“ მართლა გაკეთდება თუ არა, მაგრამ შესაძლოა, გამოყენებული იყოს გასაჯაროების იმ მოტივით აკრძალვა, რომ მათ შესაძლოა, ხელი შეუშალონ ქვეყნის ინტერესების განხორციელებას. საუბარი არ არის იმაზე, რომ გადაწყვეტილების შესასრულებლად ვიღაცა რაღაცას არ შეასრულებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რამე სახის „დათქმა“ მართლაც იქნა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დოკუმენტი, რომლითაც აშშ-მ საქართველოსთვის თავდაცვითი შეირაღების მიწოდების გადაწყვეტილება მიიღო, ძალას დაკარგავს.

საქმე კიდევ ის არის, რომ რაც ამ დოკუმენტში წერია, არ გახლავთ აშშ-ის ერთი პოლიტიკური ძალის ან ერთი პოლიტიკური ჯგუფის ნააზრევი. ეს დოკუმენტი ასახავს იმ ურთიერთობებს და იმ საერთო მიზნებს, რაც აშშ-სა და საქართველოს აკავშირებს და ორივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებში შედის.

**— პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთში საარჩევნო ციკლის დასრულების შემდეგ პუტინის მიერ ინიცირებული „ევრაზიული კავშირი“ საქართველოსთვის დიდი გამოწვევა იქნება. რამდენად სავარაუდოა, რომ კრემლმა თბილისს ტერიტორიების დაბრუნების ილუზიის შექმნით საქართველოსგან ევრაზიულ კავშირში გაწევრება მოითხოვოს?**

— იმ შემთხვევაში, თუ საქართველო რუსეთს ყველაფერზე მოუწერს ხელს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროს, სხვა ქვეყნის ნაწილი აღმოვჩნდებით. საქართველოს აქვს ძალიან მკაფიოდ გამოკვეთილი თავისი გზა, თავისი გეზი და ამ გეზს არა აქვს ალტერნატივა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მომავალს, ამ ორგანიზაციამ ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდა უნდა გაიაროს. იმ არსებული რეალობების ფონზე, რომელიც ახლა არსებობს, მათ შორის რაც ახლა მსოფლიოში, ევროპაში და იმავე რუსეთში ვითარდება, ეჭვი მეპარება, რომ ეს პროექტი წარმატებული აღმოჩნდეს. არა მგონია, რუსეთს ჰქონდეს იმის რესურსი, რომ ევრაზიული კავშირი ნამდვილად აამუშაოს, იგი ჯერ რეალურად შექმნას და შემდეგ შეინარჩუნოს. ევრაზიული კავშირი რუსეთის იმ ნეოკომუნისტური ძალების პოლიტიკური სატყუარაა, რომლებსაც ბოლო ძალებისა და რესურსების გამოყენებით სურთ მეზობლებზე გავლენის აღდგენა. ამ პროექტში მონაწილე ქვეყნები მალე დარწმუნდებიან, რომ ევრაზიული კავშირი პარაზიტული სისტემაა და მიზნად ისახავს მეზობელი ქვეყნებიდან რესურსების მაქსიმალურად მოზიდვას და რუსეთის ინტერესებისათვის დაქვემდებარებას. ამგვარ არათანაბარ პირობებზე თანამშრომლობას არც ერთი სახელმწიფო თავისი ნებით არ დათანხმდება.

**— პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის „ინტერპრესნიუსთან“ გამოთქმულმა მოსაზრებამ — „როგორ ჩანს, დადგა დრო, რომ თემურ ალასანიამ რუსულ წრეებთან ძველი კავშირების ქვეყნისთვის სასარგებლოდ მატერიალიზაცია მოახდინოს“, საზოგადოების ერთ ნაწილში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რა როლის შესრულება შეუძლია „რუსულ წრეებთან დაახლოებულ“ საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველ თემურ ალასანიას?**

— კომენტარი ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნაზე კი არა, მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე შეიძლება. ყველას თავისი სუბიექტური აზრი აქვს. გასაგებია, რომ თემურ ალასანიას ფიგურა იმის გამო იწვევს ინტერესს, რომ იგი, გარდა იმისა, რომ პროფესიონალი დიპლომატია, საქართველოს პრეზიდენტის ბიძაა. ისიც გასაგებია, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე მისმა დანიშვნამ საზოგადოების ნაწილში ინტერესი გამოიწვია. თემურ ალასანიას რამე განსაკუთრებულ მისიაზე საუბარი ნაადრევი და გადაჭარბებულია. მის მიერ საგანგებო მისიის შესრულებაზე საუბარი მაშინ იქნება უპრიანი, როცა იგი კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს. დიპლომატია ის სფეროა, რომელსაც იმ აქტივობების აფიშირება, რომელიც მიზნის მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს, მაინცდამაინც არ უყვარს. ამიტომ, მოდით, ეს სფერო მოქმედ დიპლომატებს დავუტოვოთ და საქმის პროფესიულ დონეზე კეთების საშუალება მივცეთ.

**კოკა ზენდელიანი**

## იგი საავადმყოფოსთვის არის გაჩენილი...

# „კარგად გადასკოჩე მანქანა, პენსიონერი არ გადმოგივარდეს“...

გუბერნატორებისთვის, გამგებლებისთვის და ადგილობრივი პოლიციისთვის ყველაზე დიდი თავის ტკივილი რეგიონებში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტებია. სწორედ მათ ევალებათ, რომ სააკაშვილს ღირსეული დახვედრა მოუწყონ. „ღირსეულ დახვედრაში“ იგულისხმება ბევრი ხალხი და მინიმუმ ორი ბავშვი, რომელიც „მიშა! მიშას!“ გაჰყვირის.

და არაუშავს, თუ ეს ხალხი იმ მუნიციპალიტეტში არც ცხოვრობს, სადაც სააკაშვილია ჩასული. შუბლზე არავის აწერია, ვინ საიდანაა. მთავარია, რომ ათასი სატელეფონო ზარის და სამსახურიდან გაგდების შიშით მოყვანილ მიშას „ფანებზე“ შემდეგ არავინ ისაუბროს.

სააკაშვილმა 5 იანვარს გარდაბანში, სამედიცინო ცენტრის გახსნისას, თავისი გულისტკივილი გარდაბნელებს გაუზიარა. „ზოგიერთ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ ხალხი შეხვედრებზე სპეციალურად მოყავთ ავტობუსებით. ფაქტია, რომ აქ მოსვლა ერთი საათის წინ გადავწყვიტე და თითოეული თქვენგანი ადგილობრივი მკვიდრია, რომელიც გარშემო მდებარე კორპუსებსა და სახლებში ცხოვრობს“ – თქვა სააკაშვილმა.

პრესაგე.ტვ-ს კარგად ახსოვს, როგორ შედგა რუსთავში გასულ წელს პრეზიდენტისა და პენსიონერების შეხვედრა. „კარგად გადასკოჩე მანქანა, პენსიონერი არ გადმოგივარდეს“, – ასე მიმართავდნენ ერთმანეთს პრეზიდენტთან შეხვედრის ადგილობრივი ორგანიზატორები, რომლებსაც შეხვედრაზე პენსიონერთა კოლექტიური მიყვანა ევალებოდათ.

შესაბამისად, სააკაშვილის ვიზიტის მეორე დღეს, გარდაბანში სააკაშვილის სტუმრობის ადგილს ჩვენც ვეწვიეთ.



„მიშა აქ ყველას უყვარს. კორპუსებიდან ყველანი ვიყავით გამოსული. ჩვენ გარდა მთელი გამგეობა აქ იყო – ყველა თანამშრომელი, პედაგოგებიც და სხვა საპატივსაცემო ადამიანები. ბევრი უცხო ადამიანიც იყო, ზუსტად ვერ გეტყვით საიდან მოვიდნენ“, – გვიხსნიან პრეზიდენტის მოყვარული გარდაბნელები.

„ჩვენ სვანეთიდან ვართ, ეკომიგრანტები. აქ უკვე დიდი ხანია, ვცხოვრობთ. პრობლემები ბევრი გვაქვს. თვითონაც შეხედეთ, რას გავს ჩვენი შიდა გზები. საავადმყოფო კარგია, მაგრამ აბა რა გზით მიდიხარ იმ საავადმყოფომდე, საკითხავი არ არის“?! –კორპუსების ეზოში მდგომებს საუბარისას ნელ-ნელა მიშას სიყვარულმა გაუარათ და პრობლემებზე საუბარი დაიწყეს.

მისაღებში მოქალაქეების რიგი დგას. „ჩვენი ცენტრი გუშინ არ გახსნილა. დაახლოებით ორი კვირაა ვმუშაობთ. გუშინ, უბრალოდ, პრეზიდენტი გვესტუმრა მოულოდნელად“, – საუბრობს ცენტრის მთავარი ექიმი ქეთევან გვენცაძე.

„ეს არის 25 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილიანი საავადმყოფო. გვაქვს შემდეგი განყოფილებები: სამეანო-გინეკოლოგიური, ქირურგიული, თერაპიული, ბავშვთა განყოფილება, ინფექციური და ამბულატორია. თანამშრომლების მხრივ თითქმის სრულად დაკომპლექტებული ვართ. შერჩევის ეტაპზე ვართ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგის კადრზე. ისიც ამ დღეებში აირჩევა და საქმეს შეუდგება“, – დასძენს გარდაბნის სამედიცო ცენტრის მთავარი ექიმი.

გარდაბნის და მარნეულის სამედიცინო ცენტრები სადაზღვეო კომპანია „ირაომ“ ააშენა. მათი უშუალოდ მართვა კი „ჯეოჰოსპიტალსის“ ევალება. ფასებს სამედიცინო მომსახურებაზე სწორედ ის განსაზღვრავს. შესაბამისად, მასზეა დამოკიდებული, სააკაშვილის სტუმრობისას „მიშა! მიშას!“ რამდენი დამძახებელი შეძლებს ამ დაწესებულებებში მკურნალობას.

**მანონ ბოკუჩავა,**
ქვემო ქართლი

**◉ კვალი დროში**

# მიწისქვეშა საქართველოს მკვლევარი

**დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ მეცნიერ-არქეოლოგს გერმანე გობეჯიშვილს. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლას მოანდომა. ბატონმა გერმანემ არაერთი უმნიშვნელოვანესი სხვადასხვა ეპოქის ძეგლი გათხარა და შეისწავლა. იგი ნამდვილად ბედნიერი არქეოლოგი იყო, მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, საქმისადმი თავდადებით, კვლევის მაღალი დონით.**

მას შესასწავლი ადგილის შესაშური, გასაოცარი ალღო ჰქონდა, რომელსაც მისთვის არასოდეს უღალატია. სწორედ ამის წყალობით იყო, რომ ყველა მის მიერ შესწავლილი ძეგლი უაღრესად შედეგიანი იყო. მან ბევრი ახალი ფურცელი შემატა საქართველოს უძველესი კულტურის შესწავლის საქმეს.

გერმანე გობეჯიშვილი ზემო რაჭის ულამაზეს სოფელ ღებში აღიზარდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე აგრძელებს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მან თავისი სოფლის მახლობლად ადგილ შოშეთში ძველი სამარხი აღმოაჩინა საკმაოდ მდიდარი ინვენტარით, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებას ჩააბარა. ჩანს, ამ დროიდან ილვიძებს მასში სიყვარული საქართველოს უძველესი კულტურისადმი.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი) ასპირანტურაში არქეოლოგიის განხრით პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. 1941 წ. ამ ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი სამეცნიერო დაწესებულება — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის და ისტორიის ინსტიტუტი. გ. გობეჯიშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელია, შემდეგში ამ განყოფილების ხელმძღვანელის აკად. ს. ჯანაშიას მოადგილეა. ომიანობის წლებში, 1943 წელს, მუშაობა განაახლა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. გ. გობეჯიშვილი ხელმძღვანელის მოადგილედ ინიშნება და ფაქტობრივად არქეოლოგიურ სამუშაოებს არმაზის ხევში იგი წარმართავს (ამ სამუშაოებს მიეძღვნა მონოგრაფია „მცხეთა I“, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები“ ა. აფაქიძის, ა. კალანდაძის, გ. ლომთათიძის თანაავტორობით).

1945 წლიდან გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობას იწყებს ცხინვალის ნაცარგორის არქეოლოგიური ექსპედიცია. ამ უნიკალური ძეგლის გათხრის პრეტენზიას სხვა არქეოლოგებიც გამოთქვამდნენ, მაგრამ არქეოლოგიური კომისიის გადაწყვეტილებით მისი გათხრების ჩატარება გერმანე გობეჯიშვილს დაევალა. აქ რამდენიმე წლის მანძილზე იმუშავა და გაარკვია, რომ ცხინვალის ნაცარგორა ძლიერი რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ გამოვლენილი სამლოცველო სენაკები, უამრავი შესაწირი მასალა და სხვ. გ. გობეჯიშვილმა ამ ძეგლზე ჩატარებულ სამუშაოებს ვრცელი ანგარიში მიუძღვნა. სამწუხაროდ, ამ უნიკალური ძეგლის სრული შედეგების გამოქვეყნება ველარ მოასწრო.

50-იანი წლების დასაწყისში კვლავ რაჭას უბრუნდება, სადაც მან ჯერ კიდევ 1936 წ. ს. ღების მიდამოებში დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები. აქ, ადგილ ბრილში, საკმაოდ მოზრდილ სამაროვანს მიაკვლია, სადაც დაახლოებით 2500 წლის მანძილზე, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, იკრძალებოდნენ მიცვალებულები. ამ სამაროვანზე სხვადასხვა ეპოქის უაღრესად საყურადღებო მასალები აღმოჩნდა.

გ. გობეჯიშვილი უაღრესი პასუხისმგებლობით უდგებოდა გათხრების პროცესს, მის დღიურებში დაწვრილებითაა ასახული გათხრების ყოველდღიური შედეგები. იგი აქვეყნებს ჩატარებული სამუშაოების ანგარიშებს, მაგრამ შემაჯამებელი ნაშრომის დასრულება არ დასცალდა.

და მაინც, რაჭის ექსპედიციის მუშაობის უმთავრესი შედეგები ის იყო, რომ მდ. რიონის სათავეებთან პირველად კავკასიის სინამდვილეში სამთო-მეტალურგიული კერები აღმოჩნდა. ნაპოვნია ანტიმონის და სპილენძის ძველი მაღაროები, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანების წარმოების ნაშთები, წიდა, ქვის უროები, ხის გობები, თიხის ჭურჭელი და სხვა. ჩანს, ამ დროს სამთამადნო წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. გ. გობეჯიშვილმა სათავე დაუდო ჩვენში ძველი მეტალურგიის შესწავლას. იგი არა ერთ ნაშრომს უძღვნის ამ პრობლემას, სადაც საგანგებოდაა აღნიშნული კავკასიის როლი უძველესი მეტალურგიის განვითარების საქმეში ძველ სამყაროში.

საგანგებოდაა აღსანიშნავი 50-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული მისი ნაშრომი „არქეოლოგიური გათხრები საქართველოში“. ნაშრომი ეძღვნება ყველა არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომლებიც იმ დროისათვის ჩატარებული იყო საქართველოში ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული ფეოდალური ხანის ჩათვლით. ეს პირველი ნაშრომი იყო, სადაც მოკლედ, მაგრამ თვალნათლივაა გადმოცემული თითქმის ყველა ძეგლზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება. გ. გობეჯიშვილი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო 1959 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს შექმნისა „საქართველოს არქეოლოგია“. ამ ნაშრომმა თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი არქეოლოგიაში ახალგაზრდა თაობის აღზრდას.



გერმანე გობეჯიშვილი (მარცხნივ) და შოთა მესხია ბაგინეთზე.

50-იანი წლების შუა ხანებიდან კარდინალურად იცვლება გ. გობეჯიშვილის მეცნიერული ინტერესი. იგი დასავლეთ საქართველოდან, რაჭიდან, თითქმის მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ქვემო ქართლის შესწავლაზე გადაერთო. იგი აქტიურად მონაწილეობს აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით მოწყობილ ქვემო ქართლის კომპლექსურ ექსპედიციაში. მისი მოღვაწეობა ძალიან შედეგიანი იყო.

გ. გობეჯიშვილი ძირითადად ბრინჯაოს ხანის ძეგლებს სწავლობდა. აღსანიშნავია მის მიერ მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი თეთრიწყაროს ნამოსახლარის შესწავლისთვის გაწეული შრომა. ძეგლი, რომელიც ორი ფენისგან შედგებოდა, რთული გასათხრელი იყო. აქ კარგად გამოიკვეთა მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისთან დაკავშირებული საკითხები. გათხრების ავტორი დაწვრილებით შეისწავლის აქ მოპოვებულ საკმაოდ მდიდარ მასალას — ნაგებობათა ნაშთებს, კერამიკის, ქვისა და ლითონის ინვენტარს, მან სწორად განსაზღვრა ძეგლის ხასიათი და თარიღი.

კიდევ უფრო შედეგიანი იყო გ. გობეჯიშვილის მიერ ბედენის ზეგანზე ჩატარებული სამუშაოები. მან ყორღანულ ველზე შესასწავლად რამდენიმე სამარხი შეარჩია და მისთვის ალღოს არც უღალატია, შესწავლილ ყორღანებში საკმაოდ მდიდარი მასალები აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია №5 მოზრდილი ყორღანი „გადაჭრილი გორა“, სადაც ხის მორებისაგან ნაგები დასაკრძალავი კამერა აღმოჩნდა მდიდარი ინვენტარით, მთავარი მიცვალებული ოთხთვლიანი ეტლით იყო შესვენებული. სწორედ ამ მასალების საფუძველზე გამოყო მან პირველად ე. წ. ბედენური კულტურა.

ქვემო ქართლში შესწავლილ ორივე ძეგლს გერმანე გობეჯიშვილმა საფუძვლიანი მონოგრაფიები მიუძღვნა, მაგრამ საგულისხმოა ის, რომ ორივე ეს დასრულებული ნაშრომი მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა მის არქივში, ესეც იმის მიმანიშნებელია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით, სიფრთხილით ეკიდებოდა იგი თავის საყვარელ საქმეს. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრაზე სპეცკურსს კითხულობდა.

გ. გობეჯიშვილი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. დიდი ხნის განმავლობაში მხარში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკად. ნ. მუსხელიშვილს. გერმანე გობეჯიშვილმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი ჩვენი დიდებული წარსულის შესწავლას მოანდომა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, მისი უძველესი ისტორიის დაუღალავი მკვლევარი ბატონი გერმანე გობეჯიშვილი.

**ოთარ ჯაფარიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.**

**◉ გამოიცა**

# ერთ მაგიდასთან

**ეს რომანი არავითარ შემთხვევაში არაა „საქალბატონე“, მაგრამ ის, რომ იგი ქალის დაწერილია, იგრძნობა ყოველ აბზაცში. ლაპარაკია ვიქტორია დადიანის რომანზე „ყველაფერი კარგად იქნება, ანუ იყავი მამაკაცი, გოგონავ“, რომელიც 2011 წელს გამოსცა გამომცემლობა „დეტექტივ-პრესმა“.**

რომანი დაწერილია მსუბუქად, დეტექტიური მხარე (მიუხედავად გამომცემლობის სახელწოდებისა) არ არის მომაბეზრებელი. დასკვნითი ნაწილი, როგორც წესი, — ჰეპიენდი. მიუხედავად ამისა, წიგნი უნდა წაიკითხო, იმიტომ რომ, იგი თავის ძირითად ნაწილში გვიამბობს ჩვენი დროის ყველაზე მოკლე ომზე — საქართველო-სამხრეთ ოსეთის ომზე, ლიტერატურა კი ამ ომზე ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. მით უფრო საინტერესოა, რომ მთხრობელი, ჩვენი, რუსული თვალსაზრისით, ფრონტის „იქითა მხარესაა“.

ავტორი არ მალავს თავის უკიდურესად ნეგატიურ დამოკიდებულებას სააკაშვილის რეჟიმისადმი და ამ ხაზს მისდევს მეტად ოსტატურად. მას მოჰყავს (არ აქვს მნიშვნელობა, ეს რეალურია თუ გამოგონილი) მომავალი ვაი-პრეზიდენტის ბებიის სიტყვები: „მიეცით მიშას საყრდენი წერტილი, და ის მთელ მსოფლიოს გადაატრიალებს“. ვაი რომ, მან მართლაც მონახა საყრდენი წერტილი (აგრეთვე უფროსიც სადავით ხელში) — ამერიკის შეერთებული შტატების სახით. მსოფლიო, მართალია, მან ვერ გადაატრიალა, სამაგიეროდ ბევრი უბედურება დაატრიალა. ვიქტორია დადიანმა კარგად აჩვენა მისი რეჟიმის არანორმალურობა. ეკონომიკა დაეცა, აი არმია კი, რომელიც გამოწვრთნეს და შეაიარაღეს ოკეანისგაღმელმა ინსტრუქტორებმა, გადაიქცა საზოგადოების ყველაზე მაღალანაზღაურებულ ნაწილად.

მიშიკო არ მალავდა, თუ რისთვის ლესავდა ის ხიშტებს: ებრძოლა რუსეთთან. პოლიტიკური მუშაობა იფარგლებოდა დარწმუნებებით, რომ საქართველოს არმია შეუდარებლად უკეთესია რუსეთის არმიაზე, რომელსაც, ხედავთო, შეადგენენ ღარიბი, ყველასგან მივიწყებული, ჟანგიან ტანკებზე დატოვებული ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი ბიჭებიო. მწერალი არ ამარტივებს პრობლემას, ის გვიჩვენებს, რომ ვიღაცას სჯეროდა ნატოს დახმარების ჯავშანშეუვალობისა და იმეორებდა შელოცვას, „დაკარგული ტერიტორიების“ (აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის) დაბრუნების შესახებ. მაგრამ ეს სწორედ „ვიღაცაა“, ხოლო ისინი კი, ვინც მთელი ცხოვრების განმავლობაში პურის ფულს შოულობს არა პოლიტიკანობით და არა სპეკულაციით, საიდუმლოდ ოხრავს კეთილ საბჭოთა დროზე, როდესაც ოცდათექვსმეტ მანეთად შეიძლებოდა ჩაფრენილიყავი მოსკოვში, როდესაც ბევრი ქართველი რუსეთში მუშაობდა და არ ყოფილა პრობლემები ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.




ყველა ჩვენგანს ახსოვს საქართველოს არმიის ელვისებური დაშლა რუსეთის გამოჩენის დროს სამხრეთ ოსეთში, ყველა ჩვენგანმა იხილა ტელევიზიით კადრები, როდესაც სააკაშვილი მოულოდნელად გაიცურცლა კურდღელივით და მას მცველები ეფარებოდნენ, თუმცა გაურკვეველი იყო, რატომ გაიქცა. თურმე, წერს ვერონიკა დადიანი, იმიტომ, რომ ადიუტანტმა ქართულად უთხრა „ჰაერი“.

„ჰეპი-ენდი“ კი მის მონათხრობში არა მხოლოდ სარომანო ჰეპი-ენდია. ის აღწერს სიმბოლურ სცენას მოსკოვში, სადაც ერთ მაგიდასთან იკრიბება წიგნის ყველა გმირი — რუსებიც, ქართველებიც, ოსებიც, აფხაზებიც, ორი მეგობარი კომერსანტიც, სომეხი და აზერბაიჯანელი. იქნებ, დღეს ახალგაზრდა პროპაგანდირებულ ოფიცერს მიშიკოს არმიიდან ეს წარმოუდგენლად მოეჩვენოს, მაგრამ მე მიქეიფია ასეთ სუფრებზე — რუსეთშიც, ამიერკავკასიაშიც. მამაჩემსაც უქეიფია, ბაბუაჩემსაც და ჩვენი შვილები-შვილიშვილებიც, ერთხელაც იქნება, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად გააგრძელებენ ამ საუკუნოვან ტრადიციებს, ეს მე მტკიცედ მწამს.

**იური ბარანოვი**

Литературная газета

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აშშ-საქართველო: სტრატეგიული პარტნიორობის მე-3 წლისთავი

3 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ხელი მოაწერეს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიას, რომელიც ითვალისწინებს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებას რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. ესენია: დემოკრატია, თავდაცვა და უშიშროება, ეკონომიკა, ვაჭრობა და ენერგეტიკული საკითხები და ხალხებს შორის ურთიერთობა. კითხვის ნიშნები კვლავაც უკავშირდება საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდების საკითხს. თუმცა თბილისი ვაშინგტონთან თავდაცვისა და უშიშროების სფეროში თანამშრომლობის სამომავლო „ამბიციურ გეგმებზე“ საუბრობს.

2009 წლის 9 იანვარს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის წარმავალი ადმინისტრაციის მიერ ხელმოწერილი ქარტიისადმი ერთგულება, მასში ასახული უცვლელი ღირებულებებისა და პრინციპების გათვალისწინებით, გასულ 3 წელიწადში არაერთხელ დადასტურდა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ. „შეერთებული შტატები არ იყოყმანებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის საქმეში. სწორედ ეს მხარდაჭერა არის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ცენტრალური პრინციპი და ორმხრივი ურთიერთობის ფუნდამენტი“, – აღნიშნავდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი 2010 წლის ოქტომბერში, ქარტიის 2-წლიანი მუშაობის შემაჯამებელ სხდომაზე გამოსვლისას, და ამავე გამოსვლისას დროს მან რუსეთის მოქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ უწოდა „ოკუპაცია“.

მართალია, ქარტია შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის დოკუმენტს არ წარმოადგენს, მაგრამ გარკვეულ ვალდებულებებზე 16 დეკემბერს თბილისში სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ ერიკ რუბინმაც ილაპარაკა:

„ქარტიამ დაავალდებულა ორივე ქვეყნის მთავრობები, რომ მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ერთობლივად მიაღწიონ მიზნებს. ქარტიამ დაავალდებულა შეერთებული შტატები მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას, ქვეყნის მისწრაფებას გაწევრდეს ნატოში და მის მისწრაფებას უფრო ფართო და აქტიური ორმხრივი ურთიერთობისკენ ალიანსთან და შეერთებულ შტატებთან. ეს არის ვალდებულება, რომელსაც ჩვენ მეტად სერიოზულად განვიხილავთ“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წელს - მარტში, აპრილში, მაისსა და ივლისში – წარმატებით გაიმართა ქარტიის ფარგლებში შექმნილი ოთხივე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. საუბარია ხალხთაშორის ურთიერთობის, დემოკრატიის, ეკონომიკისა და თავდაცვისა და უშიშროების სამუშაო ჯგუფებზე, რომლებიც შეხვედრებს მონაცვლეობით მართავენ საქართველოსა და შეერთებულ შტატებში.



სწორედ ამ შეხვედრებზე მხარეები ერთმანეთს უთანხმებენ თანმიმდევრულად განსახორციელებელ თუ განხორციელების სტადიაში არსებულ არაერთ პროექტს.

თუკი აზრთა სხვადასხვაობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთ სფეროს, რომელსაც გარკვეული კითხვის ნიშნები უკავშირდება, თავდაცვისა და უშიშროების სფეროა. თუმცა ამ მიმართულებით პრობლემებს ვერ ხედავს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელია:

„მიმდინარეობს მუშაობა, მაგალითად, ოფიცერთა კორპუსის მომზადებაზე, სამხედრო აკადემიის დახვეწასა და მის შემდგომ განვითარებაზე. ასევე იმ დოქტრინების შემუშავებისთვის, რომლებიც ადეკვატურად უზრუნველყოფენ საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და პარტნიორული შესაძლებლობების განმტკიცებას“...

ბათუ ქუთელია ჩვენთან საუბრისას არ აკონკრეტებს, უკავშირდება თუ არა „ამბიციური გეგმები“ საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდების საკითხსაც. ის, რომ საქართველოს შეერთებული შტატებისგან ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღების შესყიდვა სურს, მანამდეც არაერთხელ თქმულა და ეს პრეზიდენტმა სააკაშვილმაც აღნიშნა გასული წლის მარტში უცხოური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში. სწორედ ეს უნდა იყოს თანამშრომლობის შემდგომი ეტაპი“, - თქვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

გავიხსენოთ, რომ ვაშინგტონმა კატეგორიულად უარყო, რომ საქართველოს იარაღის ემბარგო დაუწესა, მაგრამ 2010 წლის ივნისში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ გორდონმა ასევე განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ვაშინგტონის პრიორიტეტია „დაძაბულობის შემცირება“. „არ გვგონია, რომ იარაღის მიყიდვა და სამხედრო აღჭურვილობა არის გზა იმ ვითარებისკენ, რომლის მიღწევასაც ჩვენ ვცდილობთ საქართველოში,“ – თქვა გორდონმა.

ამგვარი მიდგომებით უკმაყოფილება გასულ წლებში არაერთხელ გამოხატა საქართველოს მეგობართა ჯგუფმა, რესპუბლიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის განსაკუთრებული აქტიურობით. მან არაერთხელ მიმართა ვაშინგტონს განეახლებინა რუსეთის მიერ ოკუპირებული და კვლავაც დაუცველი საქართველოსთვის თავდაცვისთვის აუცილებელი შეიარაღების მიწოდება.

ამ თვალსაზრისით გარკვეული იმედი გაჩნდა გასული წლის დეკემბერში, როდესაც შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა აშშ-ის 2012 წლის თავდაცვის ხარჯების პროექტი, რომლის ერთ-ერთი ნაწილი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების აუცილებლობას შეეხება და საუბარია მათ შორის თბილისისთვის თავდაცვითი ხასიათის შეიარაღების მიყიდვაზე. სამხედრო ხარჯების განმსაზღვრელ აქტს პრეზიდენტმა ობამამ 31 დეკემბერს მოაწერა ხელი, თუმცა საქართველოსთან დაკავშირებული მუხლი (1242ძ იმ მუხლებს შორის დაასახელა, რომელთა შესრულებაც, შესაძლოა, არ მიიჩნიოს სავალდებულოდ.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა ანალიტიკოსების ერთი ნაწილი შეერთებული შტატების საქართველოსადმი მხარდაჭერას სულაც არ აფასებს თავდაცვითი შეიარაღების მიწოდების პერსპექტივებით. მაგალითად, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი ბაკურ კვაშილავა აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას, საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორისგან, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების გარანტიები ესაჭიროება.

ექსპერტი გაუმართლებლად მიიჩნევს განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებას იმაზე, რომ შესაბამისი თავდაცვითი იარაღის ფლობის შემთხვევაში საქართველო შეძლებს რუსეთისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას. მისი აზრით, საფრთხე „დაბალანსების პოლიტიკით“ უნდა განეიტრალდეს და საქართველომ მთავარი სტრატეგიული პარტნიორის „ძალა“ და შესაძლებლობები სწორედ ამ თვალსაზრით უნდა გამოიყენოს.

**ლელა კუნჭულია,**
რადიო „თავისუფლება“

# რუსეთის გენშტაბმა ის „მტრები“ აღმოაჩინა, რომლებსაც რუსეთის ტერიტორიებზე აქვთ პრეტენზიები

რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი აზრზე არ არის, რა ხდება მის ქვეყანაში. მაკაროვი ისე ადგენს რუსეთის სამხედრო საფრთხეების შესახებ დოქტრინებსა და კონცეფციებს, რომ პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც არ იცნობს.

პოლონეთში დიდი რეზონანსი გამოიწვია რუსეთის გენშტაბის უფროსის ნიკოლაი მაკაროვის მოხსენებამ. მასში რუსეთის ფედერაციის იმ „მტერ-ქვეყნებზეა“ საუბარი, რომელთაც რუსეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ.

რუსეთის სამხედრო საფრთხეების განხილვისას მაკაროვმა განაცხადა, რომ დღეს რუსეთი ტერიტორიებს უმიზნებენ ნორვეგია, ფინეთი, ესტონეთი, გერმანია, ლიტვა, იაპონია, ხოლო პოლონეთს კი ტერიტორიული პრეტენზია რუსეთის მოკავშირე ბელარუსთან აქვს.



თუმცა, როგორც ირკვევა, მაკაროვმა მოიტყუა, ან გენშტაბის პირველი პირი მის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქმის კურსში არ არის. რადგან ზემოაღნიშნული ქვეყნებიდან, რუსეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების მქონედ, შეიძლება, მხოლოდ ორი – იაპონია და ესტონეთი დასახელდეს. იაპონიას კურილის კუნძულები სურს, რომელთაც საბჭოთა კავშირის მიერ, ახლა კი რუსეთის მიერ ოკუპირებულ თავის „ჩრდილოეთ ტერიტორიად თვლის“. ეს პოზიცია ოფიციალურ ტოკიოს ხმამაღლა აქვს გაცხადებული და ის იაპონიის საგარეო პოლიტიკურ დოქტრინებშიცაა წარმოდგენილი.

ესტონეთი კი რუსეთის პეჩორის რაიონზე აცხადებს პრეტენზიას – სხვათა შორის, რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელის საპრეზენტაციო რუკაზე, ეს ადგილი არასწორად იყო მითითებული. ტალინის ეს პოზიციაც ცნობილია და ის დაფიქსირებულია ოფიციალურ დოკუმენტებში.

როგორც ჩანს, რუსეთის გენშტაბის უფროსმა არ იცის, რომ მოსკოვს უკვე დაკმაყოფილებული ჰყავს ნორვეგია, რომელსაც 2011 წლის 17 ნოემბერს გადასცა ბარენცის ზღვის აკვატორია, დოკუმენტის რატიფიცირება რუსეთის სახელმწიფო დუმაში მოხდა, შეთანხმება ორ ქვეყანას შორის კი სრულიად არასაიდუმლოდ და საზეიმოდ (ცერემონიალში მედვედევიც მონაწილეობდაძ, 2010 წელს შედგა.

რაც შეეხება პოლონეთის „პრეტენზიებს“ ბელარუსთან, რომელიც რუსეთს საკუთარ სამხედრო საფრთხედ აქვს წარმოდგენილი:

2011 წელს ოფიციალურმა მინსკმა განაცხადა, რომ მის ტერიტორიულ მთლიანობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, რაც ბელარუსის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და სამხედრო დოქტრინაშიც ჩაიწერა. თუმცა, მოგვიანებით, ალექსანდრ ლუკაშენკომ ისტერიკა მოაწყო – პოლონეთს დასავლეთ ბელარუსის წართმევა სურსო. ამის გამო, პოლონეთის საგარეო უწყებამ ბელარუსი ელჩი გამოიძახა და მისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. პოლონური მხარის განცხადებაში კი ნათქვამია, რომ ლუკაშენკოს განცხადებები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და ვარშავა არასოდეს აყენებდა ეჭვქვეშ პოლონეთ-ბელარუსის საზღვრის „სტაბილურობას“ და რომ მსგავსი განცხადებები უაზრო და არასაჭირო პრობლემების წარმოქმნას ემსახურება.

**თეა ინასარიძე**
Presa.ge

## დედამიწის ზურგზე




**აშშ-ში გამოვიდა სკანდალური წიგნი ცოლ-ქმარ ობამას შესახებ – კომპრომატებით ჰელოუინზე ღრეობის შესახებ და ლანძღვით მიშელის მისამართით**

ამერიკის წიგნის მაღაზიებში გაჩნდა დიდი ხნის ნალოდინარი, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტის ჯოდი კანტორის ნაწარმოები, რომელიც მიძღვნილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და მისი მეუღლის მიშელისადმი. წიგნში ქალბატონმა შეკრიბა პრეზიდენტის წყვილის უახლოეს გარემოცვასთან გაკეთებული 33 ინტერვიუ.

* * *

**იაპონიაში მიწისძვრისგან დაზარალებულ რაიონებში მოსახლეობა შემცირდა 65 ათასი კაცით**



ყველაზე „მწვავე“ ასაკობრივი ჯგუფი ამ მაჩვენებლით – ესენია 30 წლამდე ადამიანები. მათი რიცხვი ქვეყნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში შემცირდა თითქმის 49 ათასი კაცით, ეს კი მოსახლეობის საერთო დანაკარგის 80 პროცენტია.

* * *

**გაერო: ირანმა უნდა აჩვენოს თავისი ბირთვული პროგრამის მშვიდობიანი ხასიათი**



ასეთი რეაგირება გააკეთა გაეროს გენერალური ასამბლეის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარტინ ნესირკემ მაგატეს განცხადებაზე იმის შესახებ, რომ „ირანმა დაიწყო მუშაობა ურანის გამდიდრებაზე 20 პროცენტამდე“. გაეროს წარმომადგენელმა ასევე მოუწოდა თეირანს „მთლიანად შეასრულოს გაეროს უშიშროების საბჭოსა და მაგატეს შესაბამისი რეზოლუციები“.

* * *

**ლიბიაში შეიქმნა ქვეყანაში პირველი ისლამისტური პარტია**

პარტია დააარსა ღვთისმსახურთა ჯგუფმა ისლამისტების მხარდაჭერით ასოციაციიდან „ძმები მუსლიმანები“. ამავე დროს ახალმა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ იგი „არ ექვემდებარება არც ერთ დაჯგუფებას“. ამ დროს იგი უარს აცხადებს თანამშრომლობაზე იმ პოლიტიკურ ძალებთან, ვისი იდეოლოგიაც „ეწინააღმდეგება შარიათს“.



# სანივთო, ანუ ქონებრივი უფლება-მოვალეობანი

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი **ირინე ღლონტი**



**უკანასკნელ ხანებში, ბევრმა მკითხველმა გვთხოვა, განვუმარტოთ სანივთო, ანუ ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები. ამდენად, ჩვენი გაზეთის უახლოეს ორ ნომერში განვმარტავთ: ქონების, უძრავი და მოძრავი ნივთის ცნებას, შემადგენელ ნაწილს; ნივთზე მფლობელობის უფლების წარმოშობასა და შეწყვეტას, მისი უპირატესი შესყიდვის უფლებას; მოგაწვდით აგრეთვე ინფორმაციას საკუთრების უფლების შინაარსის, უკანონო მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის, საერთო (თანაზიარი) საკუთრების, სამეზობლო სამართლებრივი უფლება-მოვალეობის, უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების მოპოვებისა და დაკარგვის, უპატრონო ნივთზე საკუთრების შეძენის, განძის, მისი აღმომჩენის უფლებების შესახებ და სხვა.**

სანივთო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ პირთა, ანუ სამართლის სუბიექტთა ურთიერთობას ნივთთან, ანუ სამართლის ობიექტთან. სანივთო სამართალი აწესრიგებს ნივთზე ფიზიკური და იურიდიული პირების ბატონობას, ნივთზე ბატონობის უფლებამოსილება კი გულისხმობს ნივთის ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებდა ნორმებს უძრავი ქონების შესახებ, რადგან მიწა იყო სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრება, იგი ამოღებული იყო სამოქალაქო ბრუნვიდან და მისი გასხვისება არ დაიშვებოდა.

მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა სანივთო სამართალი გაითვალისწინა თავის მეორე წიგნად და მკვეთრად გამიჯნა ვალდებულებითი სამართლისგან.

სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა, ხოლო ვალდებულებითი უფლება კი, შეფარდებითი, ანუ რეალისტური უფლება. აბსოლუტური უფლება გულისხმობს, რომ ამ უფლების მატარებლის წინაშე ვალდებულია ყველა პირი. მაგალითად, მესაკუთრის უფლება – ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგავდეს თავის ქონებას, უნდა ცნოს საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ. შეფარდებით უფლებას კი, უპირისპირდება განსაზღვრული პირი, რომელსაც გარკვეული უფლება-მოვალეობები გააჩნია. მაგ: ქირავნობის ხელშეკრულებაში გამქირავებლის უფლება-მოვალეობა.

სანივთო სამართალში ბატონობს კანონის იმპერატიული ნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სანივთო ურთიერთობა მყარდება მხოლოდ კანონის საფუძველზე. მისგან განსხვავებით, ვალდებულებით ურთიერთობებში მხარეები ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის გამოვლენით მოქმედებენ.

სანივთო სამართალში უფლებას პირდაპირ კანონი განსაზღვრავს. უფლებებია: აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, გირავ, იპოთეკა და საკუთრება. სანივთო სამართლის თავისებურებაა მისი განსაკუთრებული ნდობის უნარიანობა, რადგან იგი შესამჩნევი და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ყველას შეუძლია მიმართოს საჯარო რეესტრს და იქიდან მიიღოს მისთვის საინტერესო ნებისმიერი ცნობა, ვინაიდან ყველა სანივთო უფლება აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში. რეესტრის მონაცემების მიმართ არსებობს უტყუარობის პრეზუმფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მონაცემები ითვლება სწორად მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აღნიშნულის გაკეთება გამორიცხულია ვალდებულებით სამართალში, რადგან ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა არ ტარდება საჯარო რეესტრში და მხარის ცნობისმოყვარეობა მხარეთა კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. ამდენად სანივთო უფლება, ვალდებულებით უფლებასთან შედარებით უფრო პრიორიტეტული უფლებაა, რაც ისე უნდა გავიგოთ, რომ თუ წარმოიშვა კოლიზია (საპირისპირო ინტერესთა შეჯახება) სანივთოსა და ვალდებულებით სამართალს შორის, უპირატესობა სანივთო სამართლის ნორმებს უნდა მიეკუთვნოს.

მოქმედი კანონის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით და შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით და არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს. მატერიალური ქონება, ანუ ნივთი ორი სახის შეიძლება იყოს: უძრავი და მოძრავი. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწის ზედაპირზე არსებული წყლის ობიექტები, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას დედამიწაზე. ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების, ანდა მისი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**– რა არის საკუთვნებელი და შეიძლება თუ არა მას ჰყავდეს სხვა მესაკუთრე?**

– საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. ვინაიდან საკუთვნებელი ბრუნვაუნარიანი ნივთია, იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ნივთს და მას შეიძლება ჰყავდეს სხვა მესაკუთრე.

მოძრავია ნივთი, რომელიც გადაადგილებისას არ იცვლის თავის პირვანდელ დანიშნულებას.

აღსანიშნავია, რომ მოძრავი და უძრავი ნივთების რეჟიმი განსხვავებულია, ამდენად, კანონის თანახმად, განსხვავებულია უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის წესიც. უძრავი ნივთის მაღალი სოციალური ფუნქცია განაპირობებს მისი სამართლებრივი რეჟიმის სიმკაცრეს, რადგან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვით.

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს რაიმე სხვა პირებს. სანივთო სამართალში მნიშვნელოვანია აქცესორული და შეზღუდული უფლებები. აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს, ხოლო შეზღუდულია უფლება, რომელიც ნაწარმოებია იმ უფრო ფართო უფლებისგან, რომელიც დატვირთულია ამ შეზღუდული უფლებით.

**– გთხოვთ განგვიმარტოთ (მაგალითის მოყვანით), როგორი ნივთი შეიძლება ჩაითვალოს მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთედ და არის თუ არა შესაძლებელი არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ფლობა?**

– მაგალითად, ავტომობილი მატერიალური ქონებრივი სიკეთეა, ლატარიის ბილეთი კი, რომლითაც ის მოვიგეთ, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე; ფასიანი ქაღალდები გარკვეული მატერიალური ობიექტია, მაგრამ უფლების ობიექტად მიიჩნევა მაშინ, თუ დაინტერესებული პირის უფლებები იქნება გარკვეული. მაგ: მოგების წილი აქციიდან.

არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ფლობა ისევეა შესაძლებელი, როგორც მატერიალური სიკეთეებისა.

ნივთის ნაყოფი არის ის შემოსავალი, ნამატი ან/და უპირატესობა, რომელთაც ეს ნივთი იძლევა, ხოლო უფლების ნაყოფი არის ის შემოსავლიანი უპირატესობა, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად. ნივთის ან უფლების ნაყოფს წარმოადგენს აგრეთვე ის შემოსავალი, რომელთა მიღებასაც ეს ნივთი, ან უფლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით.

**– რა შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს პირმა ნაყოფის მიღებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება?**

– ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როცა იგი კანონის თანახმად მოვალეა უკან დააბრუნოს ნაყოფი; თუ ამ ნაყოფის მიღებაზე გაწეული ხარჯები სწორი სამეურნეო საქმიანობის შედეგია და ნაყოფის ღირებულებას არ აღემატება, პირს შეუძლია მოითხოვოს ნაყოფზე გაწელი ხარჯების ანაზღაურება.

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ მფლობელობა გამიჯნულია საკუთრებისგან. მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრე. მფლობელობა ფაქტია და ამ ფაქტის უკან შეიძლება იყოს როგორც სანივთო, ისე სხვა უფლებები, თუმცა ყველაზე მჭიდრო კავშირი მფლობელობასა და საკუთრებას შორისაა. მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც ნივთზე ბატონობას ახორციელებს სხვისთვის, სხვა პირის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელს, ნივთის ფლობასთან დაკავშირებით არ გააჩნია დამოუკიდებელი ინტერესი, ვინაიდან იგი ითვლება მხოლოდ ამ ნივთის მჭერად (მოსარგებლედ). მისი დამოკიდებულება ნივთისადმი გარეგნულად შესაცნობია და ემყარება მფლობელთან სოციალურ კავშირ-ურთიერთობას, რომელიც შეიძლება ატარებდეს საჯარო-სამართლებრივ (მაგ:ჯარისკაცის, პოლიციელის მიერ საბრძოლო იარაღის ფლობა), ასევე კერძო-სამართლებრივ ხასიათს (მაგ:დასაქმებულის მიერ საწარმოში არსებული ნივთების ფლობა და სხვა). ვინაიდან ნივთის მჭერი არ ითვლება მფლობელად, მას არა აქვს მფლობელობითი დაცვის უფლება, თუმცა შეუძლია წინ აღუდგეს მესამე პირთა აკრძალულ თვითნებობას. რადგან მფლობელობა ფაქტია, სავსებით შესაძლებელია ამ ფაქტის მიმართ ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა, კერძოდ: პირდაპირი და არაპირდაპირი.

**– რა იგულისხმება ნივთის პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობაში?**

– თუ ნივთს მხოლოდ მესაკუთრე ფლობს, აქ მხოლოდ პირდაპირი მფლობელობაა სახეზე, ხოლო თუ ნივთის მფლობელობა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ხდება, აქ გვექნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მფლობელობა. ამ შემთხვევაში მესაკუთრე წარმოადგენს ნივთის არაპირდაპირ მფლობელს, ხოლო მოიჯარე – ამ ნივთის პირდაპირ მფლობელს.

სანივთო თანამფლობელობა შეიძლება იყოს მარტივი და კვალიფიციური. მარტივი თანამფლობელობის მდგომარეობას კარგად შეესაბამება საერთო, თანაზიარი საკუთრება, ხოლო კვალიფიციურისას – წილადი საკუთრება. აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე საგანზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც თანამფლობელობას, ისე წილად მფლობელობას. ასე მაგალითად, მრავალბინიანი სახლი შეიძლება განვიხილოთ ისეთ ობიექტად, რომელშიც საერთო სარგებლობის საგნებზე თანამფლობელობაა, ხოლო ინდივიდუალური სარგებლობის საგნებზე და ამ სახლის ნაწილებზე – მფლობელობა.

მფლობელობის შეწყვეტაში იგულისხმება ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის შეწყვეტა იმისდა მიუხედავად, თუ როგორია მფლობელობაზე უფლების ხანგრძლივობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მფლობელობა ყოველთვის არ წყდება მასზე უფლების დასრულებისთანავე. ასე მაგალითად, დამქირავებელი, რომელიც ხელშეკრულების დასრულების შემდეგ უკანონოდ რჩება ბინაში, იგი მაინც ბინის მფლობელად განიხილება.

როგორც წესი, ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობა მფლობელის გარდაცვალებით წყდება და ამ აზრით გადაუცემადია. ასეთი ვითარება რომ არა, სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული წესი ნივთის მფლობელობის მემკვიდრეებზე იმავე სახით გადასვლის შესახებ, რა სახითაც იგი სამკვიდროს დამტოვებელთან არსებობდა, სამკვიდროს მფლობელობით დაცვას მოკლებული იქნება. ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, მფლობელობაში საკუთრების ვარაუდი მისი უკეთესი დაცვის გარანტიაა, მაგრამ შეიძლება მფლობელი არც იყოს მესაკუთრე. მფლობელობაში მესაკუთრის ვარაუდი დაშვებულია მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ. უძრავი ნივთი შეიძინება მხოლოდ საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციის ფაქტით; რადგან უძრავ ნივთზე უფლება საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული, ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს ამ უფლების რეგისტრაციის ფაქტს და დარწმუნდეს, თუ რა უფლება დგას ნივთის ფაქტობრივი მებატონის უკან.

**– ყველა შემთხვევაშია აუცილებელი ნივთის მფლობელის ვინაობის საჯარო რეესტრში დადასტურება?**

– როდესაც ნივთი მოძრავია, ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებული ვართ ვენდოთ მის მფლობელს, ხოლო თუ ნივთი უძრავია, ბრუნვის ინტერესები მოითხოვს, რომ მფლობელის ვინაობა საჯარო რეესტრში დადასტურდეს.

შეუძლებელია იმის ვარაუდი, რომ ნივთი საკუთრების უფლებით ეკუთვნის როგორც ძველ მფლობელს, ისე ახალს. ამ შემთხვევაში ორივე მხარე ნივთის მფლობელია, მაგრამ ერთი პირდაპირი, ხოლო მეორე არაპირდაპირი. ასეთ დროს მოქმედი კანონიდან გამომდინარე, საკუთრების ვარაუდი არაპირდაპირი მფლობელის მხარეზეა.

სანივთო სამართალი ხაზს უსვამს მფლობელის კეთილსინდისიერებას და არაკეთილსინდისიერებას. იგი კეთილსინდისიერად მიიჩნევს მფლობელს, თუ იგი მფლობელობას იძენს მართლზომიერად, რაც იმის მაუწყებელია, რომ მას გაცნობიერებული აქვს ნივთის შეძენის საფუძველთა მართლზომიერება. თუ მას ეს არ აქვს გაცნობიერებული, ეს ჯერ კიდევ არ მეტყველებს იმაზე, რომ აუცილებლად სახეზეა არამართლზომიერი მფლობელობა. თუ პირს კანონის თანახმად არ მოეთხოვება გაეთვალისწინებინა ურთიერთობის არსებული დეფექტები, იგი მაინც კეთილსინდისიერი მფლობელი იქნება, თუმცა, უკანონო; და პირიქით, თუ მფლობელს მოეთხოვებოდა დაენახა მფლობელობის ხარვეზიანობა, იგი არაკეთილსინდისიერ მფლობელად ჩაითვლება.

სამოქალაქო კოდექსი იცავს კეთილსინდისიერ მფლობელობას, რაც გამოიხატება იმით, რომ თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთვა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია მოსთხოვოს ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება – უფლების დაცვის კანონით გათვალისწინებული წესით.

**– რამდენადაც ცნობილია, კანონით მიღებულია ტერმინი: „ნივთის მართლზომიერი მფლობელი“, როგორ უნდა გავიგოთ ეს გამოთქმა?**

– მართლზომიერ მფლობელად ითვლება ის პირი, რომელიც სამართლის საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. მართლზომიერი მფლობელია ნივთის მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობა მესაკუთრის მფლობელობიდანაა ნაწარმოები. ასე მაგალითად, ნივთის დამქირავებელი, მენათხოვრე, ამ ნივთის მართლზომიერი მფლობელია მანამ, სანამ მას ნივთის ფლობის უფლება აქვს. მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მიღებული ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის ნივთის მფლობელს.

არაკეთილსინდისიერი მფლობელის მდგომარეობა არსებითად განსხვავდება კეთილსინდისიერი მფლობელისაგან. მათ შორის მსგავსება ისაა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ვალდებულია დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს ნივთი. არაკეთილსინდისიერი მფლობელი ასევე ვალდებულია ნივთთან ერთად დაუბრუნოს მას მიღებული სარგებელი; მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება.

აღსანიშნავია, რომ თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია, რომ მოძრავი ნივთის ასეთი წესით შეძენა დაუშვებელია, თუ შემძენი ნივთს არაკეთილსინდისიერად ფლობდა ან თუ მოგვიანებით შეიტყო, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა.

**(დასასრული იქნება)**

ფეხბურთი

# ეს მხოლოდ ჟურნალიაო...

**თბილისის „დინამოს“ რომ სიტყვის კაცები უდგანან სათავეში, ახალი სეზონის სტარტზევე დადასტურდა.**

გემახსოვრებათ, ზურაბ პოლოლიკაშვილი და გიორგი ნემსაძე გულშემატკივრებს დაჰპირდნენ, რომ ძველი დიდების დასაბრუნებლად სახსრები არ დაიზოგებოდა და საამისოდ არც გუნდის გაძლიერებას გამორიცხავდნენ. და აი, პირველი ნაბიჯებიც.

მოგეხსენებათ, გიორგი მერებაშვილი სწორედ „თეთრ-ლურჯებში“ თამაშობდა და ორჯერ გახდა ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე. შემდეგ იყო სერბეთში, ნოვი სადის „ვოივოდინაში“ გამართულ 53 შეხვედრაში გატანილი 11 გოლი. და აი, „მერება“ ისევ დინამოელია ისევე, როგორც აწ უკვე ყოფილი „ზესტაფონელი“, 23 წლის ნახევარმცველი ირაკლი ძარია (68 მატჩში, 7 გოლიძ.

ისიც გაცხადდა, რომ ამ დღეებში ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან კონტრაქტს გოგიტა გოგუაც გააფორმებს. ასე რომ, გაძლიერება გრძელდება.

კალათბურთი

# საშობაო სიახლენი

**საქართველოში საკალათბურთო სეზონი 16 იანვარს განახლდება, როცა ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი დაიწყება.**

უკვე გაუწყეთ, რომ რამდენიმე კლუბი დამდეგ ბატალიებს საკადრო ცვლილებებით ხვდება. ამ დღეებში გაირკვა, რომ გამონაკლისს არც თბილისის „დინამო“ წარმოადგენს.

კერძოდ, გუნდის მთავარი მწვრთნელი ამიერიდან ირაკლი ხოშტარია იქნება, რომელიც აქამდე დავით თორთლაძის ასისტენტი იყო, ხოლო ახალ თავკაცს ამბროსი ორმოცაძე დაეხმარება.

ისიც შევიტყვეთ, რომ წამყვანი მოთამაშეების გივი ბაქრაძის, დეივნოელისა და პლასიდე როდუმტას პოზიციებზე ბექა წივწივაძე და სერბი ლეგიონერები ალექსანდრ ზესევიჩი (200 სმძ და მილან იულიჩი (211 სმძ არიან მოწვეულნი.

* * *

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ვლადიმერ ბოისამ ბერძნულ „პანიონიოსთან“ გააფორმა კონტრაქტი და ახალ პარტნიორებთან ერთად უკვე ივარჯიშა კიდეც. ამჟამად ეს ელადური კლუბი იქაურ ჩემპიონატ-**



**ში შვიდი გამარჯვებითა და ოთხი დამარცხებით მეოთხე ადგილზეა.**

შეგახსენებთ, რომ ვეტერანი „ჯვაროსანი“ 2008-2009 წლებში „სირტაკის“ სამშობლოში უკვე თამაშობდა ათენის აეკ-ის შემადგენლობაში (18 მატჩიძ, შარშან კი სლოვენიური გრანდის – ლიუბლიანის „ოლიმპიას“ სპორტულ ღირსებას იცავდა.

დიდი დაბრუნება

# ასე იცის ტატამმა



**ზურაბ ზვიადაური ტატამს უბრუნდება. ძიუდოისტი, რომელიც აქტიური სპორტიდან ოფიციალურად შარშან, სპორტის სასახლეში ჩატარებულ მსოფლიოს თასზე გააცილეს, სავარაუდოდ კიმონოს იმავე მსოფლიოს თასზე მოირგებს.**

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი დაბრუნებაზე სერიოზულად ორიოდ თვის წინ დაფიქრდა. ნაკრების იაპონურ შეკრებაზეც სრული დატვირთვით ივარჯიშა და თვითმხილველთა თქმით, საქმეს ისე ბეჯითად უდგებოდა, როგორც არასდროს.

ზურაბ ზვიადაური მშობლიურ წონით კატეგორიაში – 90 კილოგრამში იჭიდავებს. თუ პირველ ტურნირზე თავს შეატყობს, რომ ხანგრძლივი პაუზის მიუხედავად, ჩვეულად ჭიდაობა შეუძლია, საგაზაფხულო საერთაშორისო ტურნირებშიც ჩაერთვება და ლონდონის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულების დაგროვებას შეეცდება.

თბილისის მსოფლიოს თასი 28-29 იანვარს გაიმართება.

ლაურეატები

# სეოკმა ქრისტინე ესებუა გამოარჩია



**განვლილი სეზონი საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც შეაჯამა და 2011 წლის გამორჩეული ათლეტები სხვადასხვა ნომინაციებში დაასახელა. სეოკის ვერსიით, საუკეთესო სპორტსმენი მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა გახდა, ნომინანტთა სრული სია კი ასე გამოიყურება.**

**საუკეთესო სპორტსმენი** – ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობაძ,

**საუკეთესო მწვრთნელები** – ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობაძ, ან ჰეიუნგ სეიუნგი (მშვილდოსნობაძ,

**საუკეთესო ჟურნალისტი** – ელენე ბილიხოძე (საზოგადოებრივი რადიოძ,

**საუკეთესო ნაკრები** – რაგბი,

**საუკეთესო მეცენატი** – პაატა კურტანიძე („ავერსი“ძ,

**ოლიმპიური იმედი** – ბექა ღვინიაშვილი (ძიუდოძ.

**საუკეთესო ათეული ანბანის მიხედვით**

**მამუკა გორგოძე** (რაგბიძ,

**ქრისტინე ესებუა** (მშვილდოსნობაძ,

**რევაზ ლაშხი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობაძ,

**დავით მარსაგიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობაძ,

**გია მაჭავარიანი** (ძალოსნობაძ,

**ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლაძ,

**ვიქტორ სანიკიძე** (კალათბურთიძ,

**ამირან პაპინაშვილი** (ძიუდოძ,

**მანუჩარ ცხადაია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობაძ,

**დავით ხინჩეგაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობაძ.

ინტერნეტიდან

## მესამედ ზედიზედ

**9 იანვარს ციურიხში ფიფას საზეიმო ცერემონიაზე ოფიციალურად შეაჯამეს გასული საფეხბურთო წლის შედეგები. „ფიფას ოქროს ბურთი“და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მესამედ ზედიზედ მიენიჭა ლიონელ მესის. აქამდე ასეთი საპატიო ჰეტ-თრიკი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელს, მათ შორის უეფას ახლანდელ პრეზიდენტს მიშელ პლატინის.**




ხმის მიცემის დროს მესიმ გადაუსწრო თავის თანაგუნდელ, ესპანელ ხავის და „რეალის“ პორტუგალიელ გოლეადორ კრიშტიანუ რონალდუს, რომელიც ამ ზეიმზე არც მისულა, ისევე როგორც „რეალის“ მწვრთნელი ჟოზე მოურინიუ არ ესწრებოდა საუკეთესო მწვრთნელის არჩევას. იქ კი იპირველა „ბარსელონას“ თავკაცმა ხოსეპ გვარდიოლამ, რომლის წინამძღოლობით გუნდმა გაიმარჯვა ხუთ ტურნირში: ჩემპიონთა ლიგაში, ესპანეთის ჩემპიონატში, ევროპის სუპერთასზე, ესპანეთის სუპერთასზე და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე.

წლის ყველაზე ლამაზ გოლად აღიარეს ახალგაზრდა ბრაზილიელის ნეიმარის გოლი.

ამას გარდა ფიფამ გამოაქვეყნა გასული წლის სიმბოლური ნაკრებიც. მასში შევიდნენ – მეკარე იკერ კასილიასი („რეალი“ძ, მცველები დანი ალვესი, ჟერარდ პიკე (ორივე „ბარსელონა“ძ, სერხიო რამოსი („რეალი“ძ, ხემანია ვიდაჩი („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, ნახევარმცველები ანდრეას ინიესტა, ხავი (ორივე „ბარსელონა“ძ, ხაბი ალონსო, კრიშტიანუ რონალდუ (ორივე „რეალი“ძ, თავდამსხმელები უეინ რუნი („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, ლიონელ მესი („ბარსელონა“ძ.

2011 წლის საუკეთესო ქალ ფეხბურთელად მიიჩნიეს იაპონიის ნაკრების მოთამაშე. 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონი ხომარე სავა.

## პრეზიდენტობას აპირებს

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფეხბურთელი ერიკ კანტონა თავისი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებზე, ის კი წლევანდელ გაზაფხულზე უნდა გაიმართოს.**

**ამჟამად ის დაკავებულია ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე მყოფი საარჩევნო თანამდებობის 500 კაცის ხელმოწერის შეგროვებით, ასეთია ფრანგული კანონმდებლობის მოთხოვნა. მან უკვე წერილით მიმართა ათასამდე ქალაქის მერს და სთხოვა მხარდაჭერა.**



„ჩვენი ქვეყანა დგას ძნელი არჩევნების წინ, რომელზეც დამოკიდებულია საფრანგეთის მომავალი“, – წერს ფეხბურთელი. კანტონამ საჭირო რაოდენობის ხელმოწერები უნდა მოიპოვოს თებერვლის ბოლომდე. პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური გაიმართება აპრილის ბოლოს, ხოლო მეორე ტური, თუ საჭირო იქნება – მაისის დასაწყისში.

ინგლისელი გულშემატკივრების შორის კანტონა ცნობილია, როგორც King Eric – „მეფე ერიკი“. ამჟამად ექს-ფეხბურთელი მუშაობს ამერიკული საფეხბურთო კლუბის „ნიუ-იორკ კოსმოსის“ სპორტულ დირექტორად.

## გაკვეთილებს ყველა ესწრება

**დიდი ხალხმრავლობაა ფიტნესის დიდოსტატის, ამერიკელი მოდელის ჯენეფერ ნიკოლლის გაკვეთილებზე ფიტნესში, თავის სახლის მახლობლად რომ ატარებს. იქ მარტო ქალები კი არ მიდიან, ჯენეფერის მსგავსი ფორმები რომ უნდათ, არამედ მამაკაცებიც, რომელთაც თავად ლამაზმანი აინტერესებთ და არა მისი გაკვეთილები. ფიტნესის გარდა, ნიკოლი ლი ყოველდღიურად ვარჯიშობს სირბილში, გორგოლაჭებით, კიკბოქსინგში, ზოგჯერ კი ამერიკულ ფეხბურთსაც თამაშობს.**



აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ორი შვილის დედა თავის დროზე 100 კილოგრამზე მეტს იწონიდა. მისივე თქმით, სასწორი მის ქვეშ ჭრიჭინებდა. მაგრამ აქტიური ვარჯიშით რამდენიმე თვეში 50 კგ. დააკლო. აღსანიშნავია, რომ ჯენეფერი სილამაზის უამრავი კონკურსის გამარჯვებული კი არა, რამდენიმე ბესტსელერის ავტორიცაა, თავად ის კი „თავს იწონებს“ მრავალრიცხოვან ბილბორდებზე, სპორტულ ტრენაჟორებს რომ არეკლამებს.

SIC!

# საქართველოს სახელით სარჩელს არაპროფესიონალები წერენ!

**შარშან მართლმსაჯულების ჰააგის სასამართლომ 10 ხმით, 6-ის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელი რუსეთის მიმართ იმ მოტივით ჩააგდო, რომ საქმე მის იურისდიქციაში არ შედიოდა. სარჩელი თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. ხარვეზები ძირითადად პროცედურული ხასიათისა იყო. ექსპერტები ამის ძირითად მიზეზებს — საერთაშორისო მართლმსაჯულების არცოდნისა და სამსახურებრივ დაუდევრობაში ხედავენ. მათივე განმარტებით სარჩელი კვალიფიციურად შედგენილიც რომ ყოფილიყო, იმ სასამართლოში არ შევიდა, რომელშიც უნდა შესულიყო.**

### ხელისუფლების მორიგი ტყუილი

**მართალია, ჩვენი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ კიდევ გვაქვს შანსი რუსეთის წინააღმდეგ საჩივრის შეტანისა, მაგრამ იურისტ თინა ხიდაშელის თქმით, ამის მხოლოდ იურიდიული შანსი არსებობს. საქმის ხელახალი დაწყებისთვის საჭიროა ჩვენმა მხარემ დაადასტუროს ახალი გარემოებანი, რომლებიც გამოჩნდა და აქამდე საქართველოსთვის ცნობილი არ იყო.** ხიდაშელს მიაჩნია, რომ ახალი გარემოებების დამატება რეალურად შეუძლებელია. ექსპერტები ამბობენ, რომ გაურკვეველი იყო თუ რატომ მიმართა ჩვენმა ხელისუფლებამ მართლმსაჯულების სასამართლოს. ეს ორგანო არის გაეროს სასამართლო. „მართალია მას მაღალი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათისაა და არ გააჩნია აღსრულების მექანიზმი. ამის გამო ხიდაშელი თვლის, რომ ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილებაც რომ ყოფილიყო მიღებული, ის დარჩებოდა ადრე მიღებული არაფრისმთქმელი განცხადებებისა და რეზოლუციების დონეზე (რუსეთი ოკუპანტია, საქართველოს ტერიტორიის 1/5 ოკუპირებულია და ა. შ.ძ. თუ მაინცდამაინც ამ სასამართლოში უნდოდათ საჩივრის წაღება, მაშინ უნდა წაეკითხათ კონვენცია, რომლის საფუძველზეც დაიწყო საქმის განხილვა.

ხიდაშელის განმარტებით, სარჩელში შეტანილი იყო სამაჩაბლოს პირველი ომის ეპიზოდები. ნათელი იყო, რომ მათ განხილვაზე სასამართლო უარს იტყოდა. რადგანაც სარჩელის შემტანთ უნდა სცოდნოდათ, რომ ჰააგის სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ ეპიზოდებს (კონვენციის მიხედვითძ, რომლებიც მათზე ხელის მოწერის, ძალაში შესვლის მომენტამდე იყო ჩადენილი სახელმწიფოს მიერ. პირველი ომის ეპიზოდები, ამ მხრივ არანაირ სტანდარტებში არ ჯდებოდა. შეიძლება მათი საჩივარში შეტანა შემდგენლებმა სიტუაციის დამძიმების თვალსაზრისით გამოიყენეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ისტორიაში უნდა მოეყოლათ და არა მოთხოვნაში დაეყენებინათ — აცხადებს იურისტი. ამის გამო ჰააგის მოსამართლეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სარჩელის შემტანები არაკომპეტენტურები არიან (ჩვენი იუსტიციის სამინისტროძ. სინამდვილეში კი ეს არა ოდენ იურისტთა არაკვალიფიციურობის, არამედ ჩვენი ხელისუფლების ახირების ბრალია, ასკვნის ხიდაშელი. „ვარდოსნებმა“ ეს პიარ კომპანიისთვის წამოიწყეს, რომ ისეთი მაგრები არიან, რუსეთს უჩივლეს. მათ ეს გააკეთეს, მაგრამ არა იმ სასამართლოში, საიდანაც რუსეთი დამარცხებული გამოვიდოდა.

შეძლებენ დამოუკიდებელი იურისტები ხელისუფლების ლაფსუსების გამოსწორებას? დამოუკიდებელმა იურისტებმაც ჰააგას მიმართეს, მაგრამ არა მართლმსაჯულების, არამედ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს. წარდგენილია 6 ათასი სახის სხვადასხვა მტკიცებულება (ვიდეო, აუდიო, ფოტო და ა. შ.ძ, საქმე პროკურორის ოფისშია. მათთან სარჩელი არ შედის, მხოლოდ წარდგენილ მასალებზე იწყება წინასწარი გამოძიება. საქმის მსვლელობით თინა ხიდაშელი კმაყოფილია. იგი აცხადებს, რომ საქმე საკმაოდ არის წინ წაწეული და გადასულია გამოძიების მესამე სტადიაში. ანუ თუ ყველაფერი ამ ტემპით გაგრძელდა, წლეულს, აპრილ-მაისში გვექნება შედეგები, ვარაუდობს ხიდაშელი.

### რატომ ხელისუფლების გვერდის ავლით?

**ჩვენი „რევოლუციონერი“ ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს, მიჩქმალოს ჰააგის სასამართლოში განცდილი ფიასკო. პირიქით, ცდილობს ისე წარმოგვიჩინოს საქმე, თითქოს უდიდესი გამარჯვება მოგვეპოვებინოს. ამის პარალელურად ცდილობს, ბლოკირება გაუკეთოს დამოუკიდებელი იურისტების მიერ იმავე სასამართლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში შეტანილი სარჩელის წარმატებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.** „ნაცები“ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ არ დაიწყოს საქმის წარმოება. ამ მიზნით ხელისუფლებამ ჰააგის პროკურორს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 8 აგვისტოს ომის დანაშაულებზე. ოღონდ მასში არ არის დაზუსტებული, ვის წინააღმდეგაა აღძრული — რუსეთისა თუ საერთოდ ფაქტის მოკვლევაზე. ამგვარმა გაურკვევლობამ შესაძლოა პროცესი უსაშველოდ გაწელოს. გათვლა მარტივია — თუ სახელმწიფო ამბობს, ჩადენილ დანაშაულზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეო, პროკურორის ოფისი ვალდებულია დაელოდოს მის გამოძიებას. ანალოგიური ვითარებაა ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთშიც, რაც ბევრ კითხვებს აჩენს, ამბობენ იურისტები.

### ისჯებიან არა სახელმწიფოები, არამედ თანამდებობის პირები

**ექსპერტთა განმარტებით, თუ ქართველ იურისტთა სარჩელი სასამართლომდე მივიდა, საქმე განიხილება რომის კონვენციის ფარგლებში. საქართველო ამ კონვენციას მიერთებულია, რუსეთი კი — არა. მაგრამ მიერთებულობის საკითხი გადამწყვეტი არაა.** მთავარია, რომ დანაშაული მოხდა მიერთებული ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს მოქალაქეობას. ისჯებიან დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირები და არა სახელმწიფოები. რუსეთის მხარესაც აქვს ჩვენს მიმართ ბრალდებები. ექსპერტები მათგან ყველაზე მძიმედ მიიჩნევენ საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდასხმას სამშვიდობო ძალებზე. მართალია, ომის შემდეგ, სააკაშვილის რეჟიმმა ატეხა აჟიოტაჟი, რომ სამშვიდობოები კარგა ხანია აღარ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას და გადაიქცნენ მხარედ, მაგრამ ეს ომის დაწყებამდე რომ გვექცია ფორმალობად, საქმე ბევრად უფრო მარტივად გვექნებოდა, ასკვნიან სპეციალისტები. იგივე ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, გაეროს ეგიდით განთავსებულ სამხედროებზე თავდასხმების გამო ბევრი მაღალჩინოსანი დასჯილა, ამავე საერთაშორისო სასამართლოს მიერ. სამშვიდობოებთან დაკავშირებით კიდევ გამოყოფენ ბრძანების გამცემის პასუხისმგებლობის საკითხს.

ექსპერტებს აფიქრებთ ისიც, თუ რატომ არ აგზავნის საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მხრიდან სატელეფონო კავშირების მოსმენებს საერთაშორისო სასამართლოში, იქ, სადაც რეალურად ძალუძთ დამნაშავეთა დასჯა. ჩვენ ხომ 4-დღიანი ომისა და შემდგომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გვესმოდა, რომ არსებობს სატელეფონო ჩანაწერები და მათ მალე გამოიტანენ საზოგადოების სამსჯავროზე (აგენტები, მოღალატეები, ტერორისტები და ა. შ.ძ, გაუგზავნიან საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგრამ „ვარდოსნებმა“ იციან, რომ სასამართლო არ არის პოლიტიკური არგუმენტების არენა. ეს არის სამართლებრივი არგუმენტებისა დამტკიცებულებების არენა.

### დამაფიქრებელი ფაქტები

**ამჟამად ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასამართლებენ 3 კენიელ მაღალჩინოსანს.** ყოფილ პარლამენტარსა და მინისტრს ასამართლებენ ჩადენილი დანაშაულობებისთვის, ხოლო საინფორმაციო საშუალებების ყოფილ უფროსს — ამ დანაშაულობებისა და ძალადობების წაქეზება-წახალისება-პროვოცირებაში, რაც ამ ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში ხდებოდა. იმედია, ჩვენი საინფორმაციო საშუალებების მთავრობასთან დაახლოებული მესვეურები გაითვალისწინებენ თავიანთი კენიელი კოლეგის კარიერის მწარე დასასრულს.

**ზაზა ბილიხოძე**

ნომრის კარიკატურა



ავღანეთიდან დაბრუნებული...

ხსოვნა

## ანდრო კალმახელიძე



გარდაიცვალა ანდრო კალმახელიძე — ღვაწლმოსილი მუშაკი, სპეტაკი და ნათელი პიროვნება. მისი სახით საზოგადოებას, მეგობრებს და მის ტრადიციულ ქართულ ოჯახს მოაკლდა უღალატო და მზრუნველი ადამიანი. იგი მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულისთვის ცხოვრობდა და უშურველად გასცემდა ამ წრფელ გრძნობას. მან ვაჟკაცურად, შრომაში განვლო თავისი ცხოვრების გზა და სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

იყო კომკავშირის ბორჯომის რაიკომის მეორე მდივანი, ლენინგრადის უმაღლესი პარტსკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნის“ რეფერენტად, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროში, „საქენერგოს“ სამმართველოში, გეოლოგიის მთავარ სამმართველოში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. დაჯილდოებული იყო მაღალი ჯილდოებით. 1989 წელს დაენიშნა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია.

ამის შემდეგ ბოლო ორი ათეული წელი იმსახურა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სამეურნეო ნაწილის მენეჯერად. მას აქ სიყვარულით „ანდრო პაპას“ ეძახდნენ.

ბატონი ანდროს სახით საქართველომ კიდევ ერთი სამაგალითო მამულიშვილი დაკარგა, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა თავის საფიცარ სამშობლოს.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა!

უახლოესი მეგობრები

---

**მეუღლე თინა ლოლუა, შვილები გიორგი, ქეთევანი, სიძე თამაზ შილაკაძე, შვილიშვილები ნინო, გიორგი შილაკაძეები ოჯახებით, შვილთაშვილები თამაზი, რეზო, ნიკოლოზი ღრმა მწუხარებით იუწყებიან**



**გერა სერგის ძე ხეჩინაშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, I, 17 სთ. გამოსვენება 12, I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28, IV სად.**

---

**გარდაიცვალა გერა სერგის ძე ხეჩინაშვილი, ცნობილი არქიტექტორი, ჭეშმარიტი შემოქმედი, ღირსეული მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, რომლის შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით იუწყება ბატონ გერას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ბატონ პაატა ბურჭულაძეს საყვარელი დედის**

**ნუნუ ალექსანდრეს ასულ**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**ფრიდონ თოდუა ოჯახით თანაუგრძნობს პაატა და ნატო ბურჭულაძეებს დედის**

**ნუნუ ალექსანდრეს ასულ**

**ჭანტურიძე-ბურჭულაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

შპს „აისი 93“-ის
დამფუძნებელ პარტნიორებს
დირექტორის გივი ცაგურიას

**წერილობითი შეტყობინება**
**პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის შესახებ**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შპს „აისი 93“-ის დირექტორი გივი ცაგურია ამავე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და საკუთარი ინიციატივით გიწვევთ შპს „აისი 93“-ის დამფუძნებელ პარტნიორებს ამა წლის 25 იანვარს 16 საათზე ქალაქ გარდაბანში, მოქმედი ნოტარიუსის დავით ბედიანაშვილის სანოტარო ბიუროში (საფოსტო ინდექსი 1300ძ მისამართზე ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. 1-47, საზოგადოების საერთო კრებაზე დასასწრებად და დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად.

## დაიჯესტი



### ზღვარი 20 მეტრია!..

**რამდენად ღრმად შეუძლია ადამიანს ჩაყვინთოს სასუნთქი აპარატის გარეშე? ექიმი-ფიზიოლოგები მიიჩნევენ, რომ მოყვარულ სპორტსმენთა უმრავლესობისთვის ეს ზღვარი 20 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან ამ ბარიერს მიღმა გულის მარჯვენა საკნები იწელება, ხდება ფილტვების შეშუპება და გონების გათიშვა...**

ამავე დროს ცნობილია, რომ პროფესიონალ მყვინთავებს გაცილებით მეტ სიღრმეზე ჩასვლა შეუძლიათ. ცნობილი იაპონელი მყვინთავი ქალები „ამები“ 15-დან 25 მეტრის სიღრმეზე უკვე ორ ათას წელზე მეტია ყვინთავენ. წყნარი ოკეანის კუნძულებზე მარგალიტების მომპოვებელი მყვინთავები 40-45 მეტრის სიღრმეზე ჩადიან, ღრუბლების ბერძენი მკრეფავები კი პოსეიდონის სამეფოს 55-60 მეტრის სიღრმეზე „სტუმრობენ“!

მაგრამ გასული საუკუნის 80-იან წლებში 56 წლის ჟაკ მაიოლმა ფენომენალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ადამიანის ორგანიზმზე დიდ სიღრმეთა ზეგავლენის შესასწავლად მან... 105 მეტრზე ჩაყვინთა. ცნობილი გახდა, რომ მანამდე იგი ინდოეთში, პონდიშერის შტატში დადიოდა, სადაც თვეების განმავლობაში „პრადაიამაში“ – სუნთქვაში ვარჯიშობდა, რომელიც სისხლის ჟანგბადტევადობას დიდად უწყობს ხელს.

### გარბენი... კედელზე

**მორიგი მარათონული გარბენისთვის მეტად უჩვეულო ტრასა შეარჩიეს ამერიკელმა მძლეოსნებმა მეუღლეებმა დიკ და ნენსი მოლენებმა.**

ამ კლასიკურად ქცეული მანძილის, 42 კილომეტრისა და 195 მეტრის დაძლევას მეუღლეებმა დაახლოებით ექვსნახევარი საათი მოანდომეს. უცნაური ამაში არაფერი იქნებოდა, რომ არა გარბენის მარშრუტი, რომელიც... ჩინეთის დიდ კედელზე გადიოდა.




### ქვირია სნეულებებთან ბრძოლა

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, უახლოეს 20 წელიწადში კაცობრიობას არაინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველად 30 ტრილიონ დოლარზე მეტი დასჭირდება!**

ექიმებს განგაში აქვთ ატეხილი იმის გამო, რომ ბოლო ათწლეულებში მკვეთრად იმატა ისეთ დაავადებათა რიცხვმა, როგორიცაა ინსულტი, კიბო, დიაბეტი, გულთან დაკავშირებული პრობლემები. სწორედ ისინი არიან სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი.

### მიუნჰაუზენის მემკვიდრეები

**ვისკონსინის შტატის ქალაქ ბარლინგტონში ყოველწლიურად მატყუარების ზეპირი კონკურსი იმართება, რომელშიც უამრავი ხალხი მონაწილეობს და გაცილებით უფრო მეტი დიდი სიამოვნებით უსმენს მათ მონაჩმახს. ბუნებრივია, კონკურსს საკუთარი უნიკალური ისტორია და არანაკლებ ორიგინალური გამარჯვებულებიც ჰყავს.**

მაგალითად, 1985 წლის „მისის ცრუპენტელა“ ოკლაჰომა-სითელი მერი ვისერლი გახდა, რომელმაც დამსწრეთ უამბო, რომ მათთან, ოკლაჰომაში, ორი წლის წინათ ისეთი ძლიერი ქარები იყო, რომ პამიდვრები მის ბოსტანში ვერაფრის დიდებით ვერ დამწიფდნენ: ქარი მათი ზედაპირიდან მზის სხივებს ყრიდა!



მანამდე კი, ჩემპიონის ტიტულს ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდის მცხოვრები ბაი მაკინტაირი ფლობდა. ამ ქალბატონმაც მსმენელებს საკუთარ მხარეში ამინდის ჭირვეულობის ამბავი გააცნო: „ერთხელ ისეთი ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რომ მეტრიანი თუჯის ქვაბი ჰაერში ისეთი სისწრაფით აიტაცა, რომ ვიდრე ეზოს ჭიშკარს გასცდებოდა, მას ხუთჯერ ელვა უნდა მოხვედროდა, მაგრამ ხუთივეჯერ აცდა!“

### მსოფლიო ქელალთმიანთა გარეშე

**მსოფლიოში უდიდესმა სპერმის ბანკმა ბოლო დროს ჟღალთმიან კლიენტთა მომსახურებაზე უარის თქმა დაიწყო.**

**სპერმის საერთაშორისო ბანკის „ქრაიოს“ დირექტორის ოლე შოუს თქმით, ბოლო წლების მანძილზე სპერმის დონორობის მსურველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რაც ბანკს მათ შორის საუკეთესოთა შერჩევის შესაძლებლობას აძლევს.**

– არა მგონია, რომ ქალმა მაინცდამაინც ჟღალთმიანი დონორი აირჩიოს, თუკი მისი პარტნიორი თავად არ არის ჟღალთმიანი, ანდა მაინცდამაინც ამ ტიპის მამაკაცების მიმართ განსაკუთრებული სიმპათია აქვს, – ამბობს დოქტორი შოუ.

ამასთან, საგულისხმოა, რომ ჟღალთმიანთა სპერმაზე სტაბილური მოთხოვნა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ირლანდიაშია. სხვებზე მეტი მოთხოვნა კი შავთმიანთა და ყავისფერ თვალიანთა დონორთა სპერმაზეა, რადგან „ქრაიოს“ ბანკის მრავალი კლიენტი ესპანეთში, იტალიასა და საბერძნეთში ცხოვრობს. გარდა ამისა, იგრძნობა ინდოელთა სპერმის დეფიციტი, ვინაიდან ამ ქვეყნის კანონმდებლობა თავის მოქალაქეებს სპერმისა და კვერცხუჯრედთა ექსპორტს უკრძალავს.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ბრძოლის შემდეგ რომაელები იუპიტერს სწირავდნენ მტრისთვის წართმეულ იარაღს.

● ბერძნულ მითოლოგიაში სილამაზის ქალღმერთ აფროდიტეს სატრფოს მითურ ლამაზ ჭაბუკს ადონისი ერქვა.

● გორგონების ჯიშის ორ დას სტენო და ევრიალი ერქვათ, მესამე დას კი, რომელსაც მომაკვდინებელი მზერა ჰქონდა, მედუზა.

● გადმოცემის თანახმად, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე კასრში ცხოვრობდა და დღისით ანთებული ფარნით დადიოდა.

● ებრაელმა არქეოლოგებმა მეფე ჰეროდე დიდის სამარხი იპოვეს, რომელიც ძვ.წ.პირველ საუკუნეში იუდეის მმართველი იყო. ბიბლიის თანახმად, როდესაც ჰეროდემ ქრისტეს დაბადების ამბავი შეიტყო, ორ წლამდე ასაკის მამრობითი სქესის ყველა ბავშვის მოკვლის ბრძანება გასცა. აღმოჩენა ეკუთვნის პროფესორ ეჰუდ ნეცერს.

● ადამიანის მიერ პირველად შექმნილ ქალის სკულპტურებს შორის გვხვდება დახვეწილი აღნაგობის თხელი ფიგურებიც, მაგრამ იშვიათად. ძირითადად, მსუქან ფიგურებს ძერწავდნენ, რადგან მსუქანი ქალი ორსული, ანუ ნაყოფიერების სიმბოლო იყო.

● სიამის ტყუპს უწინ ტაილანდის ტყუპს უწოდებდნენ, რადგან ტაილანდს სიამი ერქვა. XV-XVI საუკუნეებში მათ შოტლანდიელი ძმები ერქვა, XIX-XX საუკუნეში – ბაჰამელი დები.

● აცტეკებმა მეფე აუიცოტლის ინაუგურაციის დროს 80 ათასი მონის გული შესწირეს მსხვერპლად, რათა ახალი მეფის დიდებულება განემტკიცებინათ.

● ლეგენდის მიხედვით, მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრების – ალექსანდრიის შუქურის მშენებელი სოსტრატე კნიდოსელი ისე ამაყობდა თავისი ქმნილებით, რომ გაბედა და კედელზე თავისი სახელი ამოკვეთა, მაგრამ ნაგებობაზე მხოლოდ მეფის სახელი შეიძლებოდა დაწერილიყო. ამიტომ სოსტრატემ იეშმაკა: თავისი სახელი ისე შენიღბა, რომ მხოლოდ მეფე პტოლემეს სახელი იკითხებოდა. გარკვეული დროის შემდეგ მეფის სახელი წაიშალა, სოსტრატეს სახელი კი საუკუნეებს შემორჩა. ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ მეფის სახელი ამოკაწრული იყო ბათქაშზე. დროთა განმავლობაში ბათქაში ჩამოინგრა და გამოჩნდა შემქმნელის სახელი.

● ჩინელების თქმით, ყველა ევროპელი გაბრაზებულია, რადგანაც მათ ფართო თვალები აქვთ, ხოლო ადამიანი, როცა ბრაზობს, თვალები უფართოვდება.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## კადრი



რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

შეფის მისაღებში პირადი მდივანი გოგოები ჭორაობენ.

– გუშინ შეფის მაგიდის უჯრაში პრეზერვატივი ვიპოვე! – ამბობს ერთი.

– მე იგი გავხვრიტე! – დასძენს მეორე.

– ვაიმე, გოგოებო, ცუდად ვარ! – ფერი მისდის მესამეს.

* * *

თუ საქმე ეხება სახელმწიფოს წინაშე შენს ვალს, მოკვდი, მაგრამ გადაიხადე.

თუ საქმე ეხება შენდამი სახელმწიფოს ვალს, მოკვდი, მაგრამ აპატიე.



* * *

ოპოზიციის ლიდერები ოპტიმიზმით უყურებენ ნეგატიურ მოვლენებს ქვეყანაში.

* * *

ტიპი ლოგოპედის კაბინეტში შედის:

– ექიმო, ჩემს ცოლს ხმა ჩაუწყდა, საერთოდ ვერ ლაპარაკობს.

– ერთობ საწყენია, ჩემო კარგო, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

– ამ ბოლო წლების განმავლობაში პირველად მომეცა ლაპარაკში ორიოდე სიტყვის ჩაკვეხების საშუალება, მაგრამ გაირკვა, რომ ცოტათი ენაბლუ ვყოფილვარ...

* * *

ყველაზე მტანჯველ ბოროტებას კეთილი ადამიანები გვიკეთებენ, რადგან მათ ამის გაკეთება არ იციან.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24